


რ-199  
1988

ISSN 0132 - 6007  
ვერცხული  
შეზღვევა



# ვერცხული

8  
1988





პაჭვლინი  
სახანაო  
მღერს  
თავისთავად  
პაჭვლინი  
კომპლენი  
მღერს  
საო



# წაფსუღერი,



# წაფსუღერი..

პიჭვლი კომპლენი, ღაჭვლინი  
მღერს. მღერსი კომპლენი  
მღერს. მღერსი კომპლენი  
მღერს. მღერსი კომპლენი

პაჭვლინი მღერსი კომპლენი  
საქართველო

ღაჭვლი კომპლენი მღერსი კომპლენი  
მღერს. მღერსი კომპლენი  
მღერს. მღერსი კომპლენი

საქართველო მღერსი კომპლენი  
საქართველო მღერსი კომპლენი



18715  
პაჭვლინი მღერსი კომპლენი  
საქართველო



საქართველო მღერსი კომპლენი  
საქართველო მღერსი კომპლენი



საქართველო მღერსი კომპლენი  
საქართველო მღერსი კომპლენი



საქართველო მღერსი კომპლენი  
საქართველო მღერსი კომპლენი



საქართველო მღერსი კომპლენი



# მომავალი ცხოვრების და უზრუნველყოფის პროგრამა



მომავალი ცხოვრების პროგრამა

ჩემი ნორმა მეტობო, მე დიდი პატივი მხვდა წილად, ყველაფერი მე-19 საკანონმდებლო კონფერენციის დღეებში. იაზი დღის განმავლობაში პარტიკონფერენციის ყველა დელეგატობა ერთად გიხილავდა გარდაქმნის პერიოდში წამოხრტი პრობლემებს, ესაზავითი საქარობისა და დემოკრატიული შედეგის განხორციელების გზებს, როგორც ჩემი ქვეყნის წინსვლის სწრაფობა.

საკანონმდებლო კონფერენციამ განამართლა ის იმედი, რასაც მასწავლებელი ამაყობდა. ეს იყო გარდაქმნის ღონისძიების ნაშთი. საბჭოლოდ საკითხი, ზვიანდნე ხალხის სიყვარული კემპონის ხელმძღვანელობით აღსავსე აღმართა.

პარტიამ ერთხელ კიდევ გაიკვანა, აზროვნებისა და მოქმედების რაოდენობა პოტენციის ფლობა იგი. მთლიან ასეთ პარტიას ძალის განახლების გამოხორცილება. პარტიკონფერენციამ მიხილ სერვის ვ გარანტიის ღონისძიებას, საფუძვლიან კომპონენტებს და შემდეგ განხორციელდა მისი ცხადყოფა, რომ აღმართა და გულწრფელად არიან შემოთავაზებული ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, აყენებენ ბევრ საქმეს, კვანთურ წინადადებას და ეს წინადადებები არ ჩვენსა უნდა დადგინდეს გარემო, პარტიამ გამოყოფილი.

მე-19 პარტიკონფერენცია კემპონის დღისწილად სულსკვეთებით ჩატარდა, ამ სუბიექტს და მალაღობა.

საქმისმგებლობა ხალხს წინაშე, რეგულაციის წინაშე. კონფერენციამ გავჩვენა დიდი დემოკრატიული განვითარების, რომელიც მიუყვება საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მიუძღვა საზოგადოებრივ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ განხორციელებული.

მეორე, რომ კონფერენციის ყველა დელეგატი უნდა დაბრუნდეს მტკიცედ რწმუნით: გადამდგელობა გადამწყვეტი ნაბიჯი საერთო თავის შეცნობაში, ეკვიპირებაში ღონისძიებრივ პრინციპებზე ჩემი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში დაწყებული გარდაქმნის სისწრაფით.

კონფერენციამ უნდახა უღონესად არსებითი კავშირი: როგორ უნდა შედეგად გამოდგინდეს გარემოება და მისი შემუშავება, როგორ მიუყვლით, დავალიანთ ყველა მჭელი სენი და როგორ გამოვიყვლით მისი მღონისძიებრივი პრინციპები მუშაობაში.

კონფერენციამ განხორციელდა საკითხების ირგვლივ მიღებული რეზოლუციები: კემპონის პოლიტიკური სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელების ზოგადი და აღდგომული ღონისძიების შესახებ, — საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიულობა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ, — პიურკრატებთან ბრძოლის შესახებ, — ეკონომიკური რეფორმის ურთიერთობის შესახებ, — სპორტიულის შესახებ, — სამართლებრივი რეფორმის შესახებ — ფაქტობრივ მოთხოვნებ პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მიუღმამდე.

კონფერენციის ყურადღების ცენტრში დღეც საკითხი პარტიის, როგორც საზოგადოების ავანგარდის, ახალი როლის შესახებ. მოხსენებებში, დელეგატების გამოხატვისა და მიღებული რეზოლუციების გამოიყვითა მტკიცედ რწმუნა, რომ პარტიის 27-ე ყრილობაზე გამოშუქებული მოქმედების პროგრამა, გაძლიერებული გარდაქმნის არსებულ გა-

მოცულობით, ინარჩუნებს მიუღონ ძალას და სარგებლობას ხალხის მხარდაჭერით, ვინაიდან სწორად ხალხს მიიღო გარდაქმნის პოლიტიკა.

კონფერენციამ მოგვიჩვენა, რომ პარტია არა მარტო მინიჭაობს, არამედ მოქმედების შედეგად იყოფილი რეფორმის ტიტუსს. ამ უპარტიკულად ყოფილის, დაპარტია იმედი, რომ საზოგადოებრივ დაგეგმვაში მუშაობის მჭელი, მხინდადღობრივ-განკარგულებითი მეთოდი.

კონფერენციის მიზანია, — ნათქვამია ამ საკითხზე მიღებული რეზოლუციები, — რომ პოლიტიკური სისტემის რეფორმის წარმატება გარეყოფილად დამოკიდებულია პარტიის მუშაობაზე, და ყველა პარტიული რეფორმისთვის, ყველა კომუნისტს ავალის, ყველაზე აქტიური, შემოქმედებითი მუშაობისა მიმართ ამისთან დაყოფიებით წამოხრტი ამოცანათა დადგენებაში.

კონფერენციამ დაიწყო რადიკალიზაცია კომუნისტური რეფორმის გაგრძელების და გარდაქმნის აუცილებლობა, ვინაიდან გამოხატულია ამ ცხადყოფა, რომ რეფორმის ბევრი მიმართულებით ჯერ კიდევ „მუქსაობს“, რომ ბიუროკრატების წინააღმდეგობა არ არის სრულად დაძლიებული, იგი დღემდე რჩება საზოგადოებრივი განვითარების მუხტუქსად. ამ საკითხზე მიღებული რეზოლუციები ნათქვამია: „ბიუროკრატებთან ბრძოლაში უნდა ვაგრძელებდეთ ინსტიტუტების შემოქმედებას, მიანებს, რომლებიც ამ გვემინარეფორმისა და ურთიანობა და საქმიან დაამტკიცეს, რომ შესრულდეთ, იმედიქონდნ დემოკრატიული მეთოდები.“

საქ XIX საკანონმდებლო კონფერენცია კომუნისტების, ყველა შრო-

F5425

მელს მოეწოდებს, უფრო აქტიურად გააძლიერებ ბრძოლა ბიუროკრატებთან მხარდაჭერის ყველა რეგული, სხვაგვარიც ცხოვრებას ყველა საზოგადოებაში.“

გამომდინარე სოციალიზმისა და გარდაქმნის ინტერესებისა, კონფერენციამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნია საქარობის შემდგომი განვითარება, ვინაიდან, საბოლოო ანგარიშით, საქარობის, კრეტიკა და თვითკრეტიკა ხალხის ინტერესებს ემსახურება. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კარგახსნილობას ასახავს.

„საქარობის ვარგებ არ არის გარდაქმნა, არ არის დემოკრატია. საქარობა დემოკრატიული პარტიის სოციალიზმის ცხოვრებისა და პროგრესის უზენაესი ატმოსფერია.“ — ნათქვამია კონფერენციის რეზოლუციებში.

პარტიულ კონფერენციამ დიდი სავაზის ვიზიანობა იმის თაობაზე, რომ სწორად შედეგის აღზარდობის როლი ჩემი ქვეყნის ცხოვრების რეგულაციებში განახლების დღე და რთულ საქმეში. საკანონმდებლო კონფერენციის ცენტრალური კომიტეტის პარტიულმა დელეგატებმა ვიზიანობა: „ცხოვრების ყველაფერს დასაწყისზე უნდა მივიტოვოთ ახლანდელმა რეფორმის შესაძლებლობა, დაეცდეთ ის საკითხი ძალის კომპიუტერის უნდა იმედიან პარტიის ურთიერთმდგომლობით, მაგრამ მან გაცლებდნ უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მისი პოლიტიკური ხაზის შემუშავებაში. პოლიტიკური და მოლის, პარტიულმა კომიტეტებმა უნდა უნდა დაეცდეთ კომპიუტერის წინააღმდეგობა საქმეებში.“

რაც შეეხება კონფერენციის მიზანს საკითხს, გარდაქმნის, მის ტემპებსა და სიღრმის ვარგებულობას საკითხს, კომპიუტერის მტკიცედ და გამოყვლილად ამბობს სათქმელს: „განვითარების აუცილებლად დადასტურით, კიდევ უფრო გაძლიერდეს“

ბრძოლა ყველა ფორმებზე ხალხის გულსიყვარული, ჩემი სოციალიზმური სამშობლოს დღეგანდობისა და მიხედვის გულსიყვარული.“

როგორც ხედავთ, დიდი ახალი ამოცანები ვიხილავთ და ახალგაზრდული პრობლემებისადაც მიგვრია ისეთი უნდა იყოს, რომ სრულად გამოვალდნის კულმინაციისა და ქმედების ერთგობა და ინიციატივა.

ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა, დღეს თუ ჰვარა უნდა ვისწავლო ქვეყნის მართვა ახლებურად, ეს სწავლა უნდა დაიწყო რაც შეიძლება დიდი, ჯერ კიდევ პიონერულ ასაკში. დასაბავია იმედი, რომ მზად იყოფი შრომისათვის, მომავალი პროფესიის არჩევანისთვის, მართვისა და მოქალაქეობისთვის აღზრდა სასურველ სკოლა თვენი პიონერული სკოლებში, შრომითი მეთოდებში, პიონერულ ფერებში, პირივედები, სასკოლო ქაზინებში და ფაქტობრივად.

მოავალი, საკუთარი თავში აღზარდობა შრომის მოთხოვნისა, რამაც შრომაში მონაწილეობა უნდა იყოს, არამედ სხვახეობის წყაროდ მივიტოვო. უნდა ისწავლო სინდელთა გაძლიერება დასახლები მზნისათვის ბრძოლა.

ჩემი, თქვენმა უფროსმა მეგობრებმა, იცით, რომ თვენი პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში ახლა, შესაძლოა, ყველაზე სინდელურად, უნდა შედეგადობა პიონერული დღეს გასული წლის ზაფხულში IX საკანონმდებლო კონფერენციის შედეგებმა სასურსისა თვენი პიონერული ორგანიზაციის მიერულ გარდაქმნას. თვენი ახალი მეთოდი უნდა გავითვალისწინოთ, ვინაიდან, გვეცო პიონერული თვითმართვლობა. ყველაფერი ამის უნდა და გამოვიყენებ უნდა.

მე-19 პარტიული კონფერენციის პარალელურად თვენი რეზოლუციები გარდაქმნის აქტიურობის შედეგად უნდა „არტყმის“ საკანონმდებლო დღეები — „გარდაქმნის, ძიებები, შედეგები და პრობლემები“. ისინი არიან პიონერული ორგანიზა-

ციამი მიმდინარე გარდაქმნის აქტიურობისთვის, ეს ჩემი საზოგადოების გარდაქმნის საერთო საქმის მნიშვნელოვანი ნაწილია. თვენი ახლა იმედი ფორმალზიანთა, ბიუროკრატებთან, უკრძალბან ბრძოლის ჩვენებში. ისწავლოთ შემოქმედებითი აზროვნება, ზრუნვა საერთო ინტერესებისათვის, ახლებურად შრომის გვეყვით მე-19 პარტიკონფერენციის მასალებს და დასახელო ახალი, კონკრეტული წინადადებები! მიმოხილეთ გარემოში რამდენად ამიანს — მიხედვის, ავადმყოფის, შრომისა და ომის ვეტერანის, უღონესი ომის ბოძის სიწმინდის თვენი გულსიყვარული და გარემო მარცხენა. ფაქტობრივად რეალურ საქმეებზე გადასვლა იქნება გარდაქმნის ყველაზე, ნათელი და ხელშეწყობის დასტური. მამ, ვისურვებთ, მეუხა კაცის ალღოი გულით წარბეჭდოთ მამ თვენი საქმიანობაში, ვინაიდან ახლა ერთადერთი გზა ვიხილავთ პარტიისა და დღეგანობა — დღის დასურვავად მოვიტოვო ხელს საქმეს და მე-19 პარტიული კონფერენციის რეზოლუციების შესახებმად ვეცნით ჩემი მომავალი!

ალექსანდრე მთავრიძის, „თბილისის მშენებელი“, სოციალიზმის მხარდობის, სპორტიუტების შრომის გმირი, სპორტიუტების მისი დასახელებული მწიგნობარი, XIX საკანონმდებლო კონფერენციის დელეგატი.

საქართველოს კავშირის  
საბჭოთა კავშირის  
საქართველოს  
საბჭოთა კავშირის

**პარტიული კონფერენცია**

1985 წლის  
ნოემბერი

**პარტიული კონფერენცია**

1985 წლის  
ნოემბერი



# მარკავანი



ქარლო კობარიძე

მხატვარი

თემურ ფსიკიძე

გ რ თ ს რ ო ზ ა

ზუსტად კვირის თავზე უკვე ცურვა ვიცოდი და სიზმარშიც ალაზანი მელანდებოდა — კამკამა ალაზანი და ალაზნის დაბურული ჭალა.

8

მეოთხე კლასში ისევ პირველ მერსზე ვიჯექი, ერთი თვის შემდეგ კი, სხვას რატომ კარნახობო, მესამეზე გადამსვენს. ისევ კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მეოთხედის ბოლოს სამი ოთხიანი მაინც გამომყვა. ახლა გაკვეთილს ხშირად აღარ მკითხავდნენ მასწავლებლები და აღარც ის უთქვამთ, როინს მიბაძეთ სწავლასა და ყოფაქცევაშიო. ჩვენი ბიბლიოთეკის გამგემ დირექტორთან მიჩივლა, წლეულს და შარშან ექვსი წიგნი გაიტანა და არც ერთი არ დაუბრუნებიაო. დირექტორმა მითხრა, ამასაც მომხვეჭელობა პქვია, სვალვე არ მოგიტანია, კედლის გაზეთში გამოგვიმავო. მივიტანე. ადრე გამსხენებოდა, ადრე მივიტანდი.

მესამე მეოთხედი რომ დაიწყო, მეოთხე მერსზე, ფიქრის გვერდით დამსვენს. ფიქრის მათემატიკის სწავლა უჭირდა, სკოლაში ვესმარებოდი, შინაც — ჯერ ჩვენსა ვამეცადინებდი, მერე მათთანაც მივედი და მამამისმა ცხენზე რომ შემსვა ერთხელ, მას აქეთ სულ იქით მეჭირა თვალი. მშვენიერი ცხენი ჰყავდათ, ჭკვიანი, გუთანში აბამდნენ, მაზიდშიც, სათარსაც მიუბამდნენ ხოლმე,

მოკლედ, ბევრს ამუშავებდნენ და ამიტომ უფრო დადიოდა მშვიდი, ერთნაირი ნაბიჯით. არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ მართლა ასე იყო — რომ შევჯდებოდი, ცქვიტდებოდა, ალბათ ვემსუბუქებოდი და იც უხაროდა. პო, მეოთხე კლასში რომ გადავედი, ცურვა უკვე ვიცოდი, მეხუთე კლასში კი ცხენზე ჯდომაც ვისწავლე. მანამდე ის საოცნებო ციხის ნანგრევებიც ვნახე, ტყის პირას რომ ჩანდა.

ერთი წელიწადი არსად უმუშავია დედაჩემს. შინ იყო და საოჯახო საქმეებს აკეთებდა. მართალი გითხრა, არაფერში გვეხარჯებოდა ფული: საჭმლით ბიძაჩემი და ბებია გვამარაგებდნენ, ტანსაცმელი კიდევ ისევ ბევრი ჰქონდა დედაჩემს, მე კი მალე დამიბატარავდა, მაგრამ არ დამკლებია — როგორც დათოსთვის ყიდულობდა ბიძაჩემი, ისე ჩემთვის. მაგრამ მეორე წელიწადს, ასეც არ შეიძლებაო, მუშაობის დაწყება გადაწყვიტა დედაჩემმა.

— ასე აჯობებს, — უთხრა ბიძაჩემმა, — სხვაც არა იყოს რა, გულს გადააყოლებ.

— მასწავლებლობას დავუბრუნდები ისევ.

— სადა, ჩვენს სკოლაში?

— აბა, სხვა სოფელში რატომ ვივლი?

— კარგია, მაგრამ საათები იქნება?

— ალბათ. შარშანწინ ეზოს მიტალახებდა დირექტორი, დაბრუნდიო.

— მაშინ სხვა იყო. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ, რა ვიცი. მიდი, მაინც სთხოვე.

ცივი უარით გამოისტუმრა დირექტორმა, რას ბრძანებთ, ადგილი სად მაქვსო! თუმცა შარშანდელს აქეთ არც დაწყებითი ჯგუფების მასწავლებელი მოგვმატებია, არც ჯგუფი დახურულა — ბავშვები არ გვყოფნისო.

— არც ისე ძნელი საცნობია ადამიანი, როგორც ამას ფილოსოფოსები ამბობენ, — თქვა ბიძაჩემმა.

— თან იმას მეუბნები, ოჯახს არაფერი მოაკლო, არაფერი გაყიდო, მამ რა ვქნა, სულ შენ გიყურო ხელებში?

— შენი უმუშევრობა არ იქნება, სხვანაირად გაიგებს სოფელი.

— ვითომ როგორ გაიგებს?

— ძველი ქონი მოსდევსო. ამიტომ ღია დაგითმობს თავის ადგილს.

— თვითონ რაღას იზამს?

— მერე ვიფიქრებ მაგაზე.

ასე რომ, დედაჩემმა ერთი კვირის შემდეგ ძალის



ნაცვლად აღმზრდელად დაიწყო მუშაობა საბავშვო ბაღში.

ბიძაჩემს იმდენი საქმე ჰქონდა, მესამე წელიწადს თქვა, სოფელი კი ამოვასუნთქე, მაგრამ ახლა მე ვარ წაქცევაზე.

ჩვენს სკოლაში ქართული ჭიდაობის სექცია გაიხსნა. არავის დავკითხებოვარ, ისე ჩავეწერე. დათოც დადიოდა. კიდევ კარგი, მე უფრო მძიმე ვიყავი, თორემ როგორი ამბავია, ბიძაშვილ-მამიდაშვილის დაჭიდება!

იშვიათად მოდიოდა მამაჩემის წერილი — არა მიშავს რა, ისე მივათრევე წუთისოფელს, როგორც ჩემი მდგომარეობის კაცს შეეფერებო; თქვენ კარგად იყავით და ჩემი კარგად ყოფნაც ეს იქნებო... სიცოცხლეს უნიოდა განსაკუთრებით. თითქმის ყოველ წერილში ევედრებოდა ბიძაჩემს, ცოლ-შვილს მიმიხედე, თუ აქედან გამოვალწი, სიკეთეს სიკეთით გადაგიხდი, არადა, ღმერთი მაინც დაინახავსო.

ნელ-ნელა გადიოდა წლები, ვიზრდებოდი და თანდათან უფრო მეცოდებოდა მამაჩემი. პირველ ხანებში დამცინავად მიყურებდნენ სკოლაში, მერე და მერე სულ დაავიწყდათ მამაჩემის ამბავი. მარტო ერთხელ იყო, მამუკას წავუქიმუნჯე გაკვეთილზე. მასწავლებელმა მითხრა, გააჩერე ეგ დასამიწებელი ხელი, ის დრო წავიდა, მამაშენის შიშით ხმას რომ ვერა გცემდითო. არაფერი მითქვამს, ავიღე ჩანთა და შინ წამოველ. დედაჩემმა მისაყვედურა, ცუდად მოქცეულხარო. ბიძაჩემმა კი მომიწონა, თან ესეცა თქვა, უთავმოყვარეო კაცისა არაფერი მწამსო, ოღონდ ისე უნდა მოიქცე, არ აიძულო და ასეთი რამ არ ათქმევინო ვინმესო.

მე და დათო სულ ერთად ვიყავით, ერთად დავდიოდით სოკოზეც. ზომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ბიძაჩემი, მაგრამ სოკო რომ გაჩნდებოდა მინდორსა თუ ტყეში, უეჭველად წავიდოდა და წაგვიყვანდა. აკი მან მასწავლა სასარგებლო და შესამიანი სოკოების გამოცნობა.

სოფელს უყვარს ბიძაჩემი და ეს სიყვარული ჩვენც გვეტყობა: მალაზიაში გამაგზავნის დედა, სკოლაში მივდივარ თუ სკოლიდან მოვდივარ, დამინახავენ და მეკითხებიან, როგორა საქმე, ლევანას დისწულოო; არ იღარდო, შვილო, მალე გაივლის წლები, დაგიბრუნდება მამა და ისევ გალალდებიო. გალალდება არასოდეს დამკლდება ბიძაჩემის წყალობით.

ვჭიდაობდი კიდევაც და სოფლის გუნდშიაც ვმღეროდი — ერთხელ ტელევიზორშიც გამომიყვანეს. განარებულმა ბიძაჩემმა საათი შეიხსნა მაჯიდან და მაჩუქა. ახლაც ის საათი მაქვს, მაგრამ, რომ არ გამიფუჭდეს, ან არ დაკარგო, იშვიათად ვხმარობ. ბუბიამ თავისი მთელი წლის პენსია მომცა, ჩემს სახსოვრად იყიდე რამეო. ძალომ კიდევ ახალი შარვალ-ხალათი მიყიდა. ასე მივალწიე მეთუ კლასამდე. ერთი თვის წინ კი, შაბათ ღამეს ადრე ვაპირებდი დამინებას, მეორე დღეს ჩვენი სოფლის მთაში მივდიოდით ბიჭები, დანგრეული ეკლესია-სალოცავები, ნასახლარები, გავერანებული „ციხე-კლდე“ უნდა გვეჩანა. მაგრამ ადრე ვერ მოვახერხე დამინება — საინტერესო ფილმს უჩვენებდნენ ტელევიზიით

და იმან შემიყოლია. ვიღაცამ ჭიშკრის ზარი დარეკა. დედაჩემმა გადასძახა, ღიაა, შემოდით — მასაც მეზობელი ეგონა. აივანზე გამოველ, ვხედავ, ვიღაც კაცი შემოვიდა ეზოში, აჩქარებული წამოვიდა კიბისკენ. კიბე რომ გააშუალა, გაჩერდა და თავი ასწია. თითქოს მეცნო და არც მეცნო. ღიმილით მიყურებს, თან ნელა, სვენებს-სვენებით ამოდის კიბეზე ეს ჭალარა, შუახნის კაცი. ამასობაში დედაჩემიც გამოვიდა აივანზე, დაინახა კიბეზე ამომსვლელი და იკვილა:

— გივი!

მაშინ კი მივხვდი, ვისაც ვამსგავსებდი — ეს კაცი მამაჩემი იყო, შვიდი წლის უნახავი მამა.

9

ადრე იძინებს სოფელი, მით უმეტეს, გაზაფხულზე, როცა მიწის საქმე მოაწვებთ ხოლმე, ამიტომაც არავის გაუგია დედაჩემის შეკვივლება. დედაჩემმა წამლაუწუმ იცის ტირილი, ატირებულ მამაჩემს კი პირველად ვხედავდი — ტახტზე ისხდნენ და იმდულრებოდნენ. ვიცოდი, სადაც იყო მამა, რასაც ნიშნავდა ავტომატიანი დარაჯი, მავთულხლართი თუ ცხაურიანი სარკმელი, ეს იყო მიზეზი, მისი ცრემლი რომ არ გამკვირვებია. ხმას არ იღებდა არც ერთი, თუმცა კარგად ესმოდათ ერთმანეთისა და ჩემთვისაც არაფერი იყო გაუგებარი. მამაჩემს სულ უბრალო ტანისამოსი ეცვა, აი ისეთი, ჩვენი სოფლის მალაზიაში წლობით რომ აწყვია და არავინ იხედება იქით. მერე გავიგე, გზაში ეყიდა თურმე. გამხდარი იყო მამა, გაძვალტყავებული, კუზი დამჩნეოდა. ორი-სამი დღის გასაპარსი ჰქონდა წვერი და ეს უფრო აბერებდა.

ოთახში შევედი, ბიძაჩემის სანადირო დანა ავიღე და ზურგჩანთაში ჩავდე. წინა სალამოს ვეთხოვე, დათომ კიდევ ელექტროსალესავზე აუწყო პირი.

ალბათ ნაბიჯის ხმაზე გავახსენდი მამაჩემს:

— მოდი აქ, შვილო.

მაშინვე მივედი.

— კაცი ხარ უკვე, — ამხედ-დამხედა.

გამელემა.

— როგორ მიდის სწავლის საქმე?

— როგორც გწერდი, ისე.

— ცოტა უკეთესად უნდა იყოს, გაიგე?

— ვეცდები.

— მაგაზე ლაპარაკს მერეც მოესწრებით, — წამოდგა დედა. — აბაზანას გავაცხელებ... მიდი, შვილო, ჩვენებს დაურეკე.

— ჯერ წვერს გავიპარსავ, — თქვა მამამ, — ჩემი პირსაპარსი ცოცხალია ისე?

— გამოუტანე, შვილო.

მამამ პირსაპარსი რომ ჩართო, აბაზანაში შევედი:

— უნდა დავიძინო, დედი.

— ახლა ძილის დროა, ბიჭო? — მავედრებელი თვალებით შემომხედა.

— აკი ტყეში მივდივარ უთენია!

— ხვალის სწორს რომ წახვიდე, არაფერი დაშავდება.



– ბიჭებს ვერ დავაღალატებ, მე არ წამომეწყოს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა უარის თქმა.

– წადი, მაგრამ ლამაზი არ გამოვა სოფლის თვალში...

ამ დროს მამაჩემიც შემოვიდა აბაზანაში, წყლის სითბო შეამოწმა და ოდნავ დაიქნია თავი.

– ჩვენებს დაურეკე, – აბაზანიდან რომ გამოვედით, მაშინ გამიმეორა დედამ, თვითონ კი თეთრეულის კარადა გამოალო.

ყურმილი ბიძაჩემმა აიღო. ამ უდროო დროს რას მირეკავსო, ხმაზე შევატყვე, შეშინდა.

– მამაჩემი ჩამოვიდა.

– რაო?! – ყურს არ დაუჯერა.

– ჰო, ერთი საათი იქნება, რაც ჩამოვიდა.

– მერე აქამდე რამ დაგამუნჯათ, თქვე ოხრებო! – ყურმილი დადო, მაგრამ ისევ დავრეკე. ახლა ღია ძაღლმ გამაგონა:

– ბატონო!

– როინი ვარ, დედამ, საჭმელი თუ გაქვთ რამე, გამოაყოლეთო.

– ლევან! – ყურმილში მომესმა, – მოიცა, ლევან!..

ჩვენების ჩამოსვლას აღარ დაველოდე, მაშინვე დავწევი და ისე უცებ დამქინა, მათი არც მოსვლა გამიგია, არც წასვლა.

ღილით რომ გამომეღვიძა, უკვე წამოშლილი იყო ფრინველი. ბიჭები დათოსთან უნდა დამლოდებოდნენ, ტყეც იქით იყო და იქ დავთქვით თავმოყრა. რა გვეჩქარებოდა, როცა კარგად მოდღვედებოდა, მაშინ ვაპირებდით აღმართ-დაღმართებზე მუხლების დაქანცვას. მაგრამ გაცილებით ადრე ავდექი, მინდოდა ისე გავსულიყავი შინიდან, მამაჩემს არ დავუნახე. პირი არ დამიბანია, ვიფიქრე, წყლის ხმაურმა არ გააღვიძოს-მეთქი, დათაანსა დავიბანდი. ქურდულად გამოვიკეტე კარი, ქურდულად ჩამოველ კიბეზე და, საჩხუში არ დგას მამაჩემი?! გავუღიძე – ეს უფრო საბოდიშო ღიმილი იყო, ვიდრე დანახვის სიხარულისა. ზურგჩანთის სამხრეები შევისწორე და კიბე რომ ჩავათავე, გავჩერდი.

– არაფერი დაკლებია – ისევ ისეთივეა ეზო, – მითხრა მამამ, – ოღონდ ეგ არის, ხეხილი გაზრდილა. სიზმარში სულ ჩვენი ეზო მელანდებოდა.

– შეიძლება ასაკის ბრალია, – მინდა უფრო აქვთ მოვახედო.

– არა, უფრო მანძილის, დაშორების სევედა.

– დავიჯერო, არაფერი გაკლია თვალში?

– მგონი კარგად მივიხედ-მოვიხედე.

– შარშან ქართული გულაბი გავვისხმა და მოვჭერიო. ახლალა გაიხედა ყვავილნარისკენ – მის იქით, წნული მავთულით შემოღობილში იდგა ის ქართული გულაბი.

– მართალია, ვერ შევამჩნიე. საით გაგიწევია?

– მთაში მივდივართ ბიჭები, ჩვენი ისტორიის ნამუსრევი უნდა დავათვალიეროთ.

– ვერ წახვალ, – ისე მშვიდად მითხრა, როგორც ადრე, ჩემი პატარაობისას იცოდა.

კინალამ გამეცინა, რის ვაივაგლანით მოვერიე თავს, ენა წავიკვნიტე კინალამ.

– ბიჭები მელოდებიან, არაფრით არ ლელობა.

– მაგრამ მამას უფრო არ უნდა გაუწიო ანგარიში? წამო, ხეხილი დავათვალიეროთ, ვნახოთ როგორ გამოიტანა ნაყოფი.

მაინც დრო მქონდა: ზურგჩანთა მოვიხსენი, მაგიდაზე დავდე და მაშინ გამახსენდა, წყლის ჭურჭელი რომ არ მიმქონდა. მარაში შევედი, ალუმიანის ათლიტრიანი კანისტრა მოვძებნე, გამოვიტანე და ისიც მაგიდაზე დავდე.

– ეგ რაღად გინდა?

– შეიძლება ისეთ ადგილას მოვხვდეთ, წყალი არ იყოს... წყალს გავიყოლიებთ და რიგრიგობით ვატარებთ.

– როდის?!

– დღეს.

– ვერ წახვალ! – ახლა უფრო მკაცრად მითხრა არც ახლა ამომიღია ხმა.

სახლის უკან ბაღში გავედით. ალუჩასაც ესხა, ტყე-მალსაც, ქლიავსაც; ვაშლი, მსხალი, ატამიც დახუნძლული იყო. მარტო კომშსა და ბროწეულს არ უჩანდა ნაყოფი – ჯერ ყვავილობიდან ახლა აპირებდნენ გამოსვლას.

– ვინ გასხლა ხეხილი? – მკითხა მამამ.

– მე.

– ატამი არ უნდა გაგესხლა, სად გაგონილა ატმის გასხვლა.

– ეგ სხვა ჯიშის ატამია, არ გაისხლას, ნაყოფსაც ცოტას გამოიღებს. შენ რომ წაგიყვანეს, იმ შემოდგომაზე დარგო ბიძაჩემმა. სხვა ხეხილს კიდევ მარტო ზედმეტი ტოტები შევარიდე – ზოგი ხმელი, ზოგიც ხმობაშეპარული.

– გასხვლასაც მაგას ეძახიან. ჩვენს მთაში რომ ნანგრევებია, აქამდე არ გინახავს?

– ექვსი წლის წინ ვნახე, მაგრამ მაშინ ისე ვუყურებდი, როგორც ქვების გროვას.

– საინტერესოა, – თქვა და მსხმოიარე შინდს შეხედა, – ჩემს აქ ყოფნაში არასოდეს სხმია ამ შინდს.

– იმდენ ნაყოფს იმეტებს, სამურაბედ გვეყოფნის. ქათმების ხმაურს მივაყურადე – ისევ საქათმეში იყვნენ დამწყვდეულები.

– ნეტა რა აძინებს აქამდე, – დედაჩემზე ვთქვი და საქათმეს გავხედე.

– კი არ სძინავს, რიჟრაჟზე გამოუარა ბიძაშენმა, ბაზარში წავიდნენ.

– წავალ ბარემ, უკვე დროა, – მაჯის საათზე დავიხედე.

– შენ რა გითხარი! – მიყვირა.

– რაღაც არ მახსოვს?

– ტყეში ვერ წახვალ-მეთქი.

ხმაამოუღებლად გამოვბრუნდი. ჯერ ქათმები გამოკვუში, მერე მარნიდან საკენკი გამოვიტანე და დავუყარე. ზურგჩანთა რომ მოვიკიდე და კანისტრაც ავიღე, მამამ რაღაც საწყლად გაიღიმა:





— ესე იგი, ძალღი იყუფება, არა?  
 — მესმის შენი, თუმცა მეც რომ გამიგო, კარგი იქნება.

ისე გაველ ქუჩაში, ეზოს კარი არ გამიკეტავს. ვიდრე მე ვეტყვი ბიჭებს, მამაჩემი ჩამოვიდა-მეთქი, დათოს უკვე მოესწრო თქმა — მომილოცეს.

ტყვიდან ადრე ვაპირებდით დაბრუნებას, მაგრამ ვედარ გამოვეშვი ვერც ეკლესიის ნანგრევებს, ვერც ნასოფლარებს. გაზაფხულის ტყეც ისეთი ლამაზი იყო, გული დამწყდა, აქამდე ასე რომ არ განმეცადა არც ის წარსული, არც ეს სიმშვენიერე. რისი ადრე დაბრუნება, არ ვიცო, რა დამემართა — შინ არ მიმიწევდა გული: დაბინდებამდე დავრჩი ბიძაჩემის სახლში. მშვივრები დაბრუნდებიან ბიჭებით, ღია ძალოს სადილი გაემზადებინა, მაგრამ ის სადილი ვახშმად იქცა. ვახშმად რომ ვსნდებოდით, ბიძაჩემმა დარეკა ჩვენსა, ამოდითო. ახლავე ამოვალთო, მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ დაგვეხმაურა დედაჩემი, სტუმრები გვეწვივნენო. ვივახშ-



მეთ და, რაკი დადლილები ვიყავით, მალე ავიმალენით. ბიძაჩემმა მითხრა, ცოტა ხანს მოიცადეო. მე ვეფიქრებდი, გავაცილებთ ბიჭები და შინ შევბრუნდით ისევე, როგორც ჩვენი საგარეო ტანსაცმელი ჩაეცვა, წავიდეთო — ჩვენსა მოდიოდა. ღია ძალომ თქვა, სუფრას ავალაგებ და მეც მალე ჩამოვალო. ბებია შეუძლოდ იყო და თავის ოთახში იწვა. ჭიშკარს გამოვცდით და შეუბნება ბიძაჩემი:

- რომ გითხრა, კარგად მოიქეცი-მეთქი, მართალი არ ვიქნები.
- დღეს ტყეში რომ ვიყავი, იმაზე ამბობ?
- რა თქმა უნდა. კი ვიცი, პატარა აღარა ხარ, თუმცა მამა მამაა მაინც.
- შემოგჩივლა ხომ?
- ძალიან ნაწყენია. გატანჯულია კაცი, ნერვები დაწყვეტაზე აქვს და ანგარიში უნდა გაუწიო.
- ჩემი ტანჯვა არაფერია?
- სად შენი და სად მაგისი.
- ვერ დაგეთანხმები — მე უარესი გადამხდა. შენ არ მყოლოდი, მერე გენახა ჩემი უბედურება.
- კარგად მომიხმინე: ზოგჯერ ისეთ ვინმეს ვესალმები, ანდა ისეთი ვინმე მთხოვს რაიმეს, დასანახადაც ვერ ვიტან, მაგრამ ღიმილით ვხვდები მაინც. არ გსიამოვნებს, ეს იმას არ ნიშნავს, მთელი ხმით იყვირო. ცხოვრება რთულია და ამ ლაბირინთებში სიარულს უნდა მიეჩვიო. ვიცი, დააშავა მამაშენმა, მაგრამ მაინც მამაა და ეს უნდა გახსოვდეს.
- მაინც რას მავალბ?
- ყველაფერი უნდა დაუჯერო.
- ვერ დაუჯერებ, მგონი არც შენ გიჯერებ ყველაფერს.
- კარგი, როგორც შენ გინდა, ისე მოიქეცი.
- მართლაც დაგვხვდნენ სტუმრები — ჩვენი თელაველი ნათესავები ჩამოსულიყვნენ, უკვე მოესურვილებინათ ერთმანეთი და ამინდზე ლაპარაკობდნენ.
- ბიძაჩემი მამაჩემის გვერდით დაჯდა. ორივეს შეხედე და გავშრი: მთელი ოცი წლით უფროსი გვეგონებოდათ მამა.

უკვე თვეა, რაც ციმბირიდან დაბრუნდა მამაჩემი — მისი გათავისუფლების საბუთები ბიძაჩემმა ჩაიტანა მილიციასში. მთელი ამ ხნის მანძილზე ფეხი არ გაუდგამს შინიდან — ან ეზოშია და რაღაცას ჩხირკედელაობს, ანდა წამოწევა ტახტზე და ტელევიზორს უყურებს, ყველაფერს ერთნაირი ინტერესით მისჩერებია, მარტო აი, მშენებლობა ვერ აუტანია. იცით, ათი წელიწადი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ სამი წლით ადრე გამოუშვეს, ისაო, ჭკვიანად იქცეოდი და კარგადაც იმუშავეო.

სულ მალე შეგვიწყდება გაკვეთილები და გამოსაშვები გამოცდებიც მოჰყვება... დათო ჩამოვიდა და ქიმიასში ვმეცადინებოთ, უფრო სწორად, ვიმეორებთ, თორემ ამდენი წლის მანძილზე საგანი თუ ვერ ისწავლე, ორიოდ დღეში რაღას ისწავლი! ის სხვა ამბავია, საშუალო



სკოლას სამებზე ძლივს რომ ამთავრებენ და მისაღებ გამოცდებზე სუთიანებს იღებენ ყველაფერში. დაღოცვილო, ვინღაა ბრმა, ისე განვითარდა ოფთალმოლოგია, სადაცაა თხუნელას აუნხლენ თვალებს!

მამაჩემის დაბრუნების კვირისთავზე სამი დღე ვაბმულად წვიმდა – არც ემატებოდა, არც აკლდებოდა. ჩვენი სახლი თეთრი თუნუქით არის დახურული და საწვეთის მილი არ ჩამოვარდნილა?! პირველი სართულის ნახევარი ისე ჩამოერეცხა, გამოვარდნაზე იყო ქვეები. მზიანი დღეები რომ დაიჭირა, დედაჩემმა თქვა, კალატოზს მოვიყვან და შევლესოთო. მამაჩემმა იუარა, მე შევლესავ, მაგაზე მეტი რა მასწავლეს ციმბირშიო. ახლა მე და დათო ქიმიას ვიმეორებთ, მამაჩემი კიდევ კედელს ლესავს.

– ჩავიდეთ და დავეხმაროთ, – მეუბნება დათო, – თან დავისვენებთ, თან ვნახავთ, როგორ ცოდვილობს მამაშენი.

ჩავედით. ჩემი ძველი ტანისამოსი ჩაუცვამს, სარეცხის ვეება ტაშტში ცემენტარული ლამი მოუდგეფო და ისე ლამაზად ხმარობს ქაფჩას, არ ვხედავდე, მამაჩემია, კალატოზობაში დაბერებული ვინმე შეგონებოდა.

– ეს უკვე აღარა ხუმრობს! – ეღიმება დათოს.

– რა მეხუმრება, შვილო, ხე-ტყეს თუ არ ვამზადებდი იქა, მაშინ მშენებლობაზე ვიკაპიწებდი ხელებს.

– იქ ისწავლე?

– კი. მარტო ეს რა არის, დურგლობაც არ მასწავლა გაჭირვებამ?

– აქ რომ გესწავლა, ის უფრო აჯობებდა მეონი.

– გეთანხმები. კაცმა ერთი ხელობა მაინც უნდა იცოდეს, უთავბოლოა ცხოვრება და, რას გაუგებ, განათლებულ კაცს როდის გაქცევს ხელის მუშად. არ შემარჯვნა და კალატოზობა, დურგლობა არ მესწავლა, ვერც ადრე ჩამოვიდოდი. თუმცა... მოდი ამაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და მთავარ საკითხს მივხედოთ: სკოლას რომ დაამთავრებთ, რას აპირებთ?

– აგრონომობა მინდა, – უთხრა დათომ.

მამაჩემმა უკან დაიწია და ასე გახედა გალესილი კედლის ნაწილს.

– ძალიანაც კარგი. შენა, შვილო?

– მეც აგრონომობა მინდა.

– რისი იმედი გაქვს შერე?

– ჩარიცხვისა.

– იმედიც კარგია. შენს ადგილზე ისტორიკოსობას ვამჯობინებდი.

– მამა-პაპათა გზაზე სიარული მისაბაძი არ მეონია ყოველთვის.

– არა ხარ მართალი – ჩემს შეცდომას არ გაიმეორებდი.

– არ მიფიქრია შენი გზით სიარული.

– განწყუნდა?

– ძალიან. მაგრამ მთავარი გავიწყდება – ისეთი კა-





ბინეტის გზა, ახლა რომ გულისხმობ, სწორედ შენ და-  
მიკეტე.

მამამ ქაფჩა ლამში ჩატოვა, წელში აიშალა და ჩა-  
ფიქრებული მიყურებს.

— მართალია... როგორ ვითხრა... აჯობებს, გულის  
ხმას დაუჯერო, — ქაფჩა აიღო ისევ, ლამს ამოურია, —  
გათხელება აკლია, წყალი მომიტანეთ.

დათომ ვედრო აიღო და გაიქცა: კიბის გვერდით  
წყლით სავსე ხის კასრი გვედგა, იქიდან უნდა ამოელო.  
რა მანძილი იქამდე იყო, მალე დაბრუნდა და მითხრა:

- ბიჭები მოვიდნენ.
- ფეხბურთის სათამაშოდ მიდიხართ?
- ეგრე გამოდის, — დათომ თქვა.
- ფეხს ვერ გაადგამთ! დასხედით და იმეცადინეთ.
- ტვინი ხომ გავავარჯიშეთ, ახლა კიდევ ჯანს უნ-  
და მიხედვა.
- მოკლედ, აუშვი აფრები და ეგ არის!
- ისედაც მეტი მოგვივიდა — აღარაფერი შედის თავ-  
ში.

— ვიცი, რამდენიც იმეცადინეთ, შენ არიფი ხომ არ  
გგონივარ!

— აუჰ! — უნებურად წამოიძახა დათომ და, რომ მიხ-  
ვდა, ზედმეტი მომივიდაო, პირზე მიიჭირა ხელი, არ  
გამეცინოსო.

მამაჩემმა მშვიდად შეხედა:

— ფრთხილად, კურდღლებო, ქაფჩა არ დაგიშვი-  
ლოთ თავში. წადით, ესეც რაღაცას ნიშნავს, რომ არ აი-  
თესეთ.

ისეთი დაბნეული ვარ, ნუ იტყვიო!..

ჩვენი უზოს გამოსავალთან ორნი დამხვდნენ, მამუკა  
და პაატა.

- მეცადინეობას მორჩით? — იკითხა დათომ.
- პატარა მივიხედ-მოვიხედეთ ქართულ ლიტერა-  
ტურაში.

— დანარჩენი ბიჭები სადღა არიან?

— იქ გველოდებიან, სტადიონზე.

წასვლას ვაპირებდით და გიაც გამოჩნდა „ვოლგით“,  
ჭიშკართან მიაყენა მანქანა, გადმოვიდა, მე და დათო  
გადაგვკონა, მერე საბარგული ახადა და ათი ვარია  
ამოიყვანა, ხუთ-ხუთად გაეკრა ფეხები.

- სად არის, როინ, დედაშენი?
- სამსახურში.
- მთლად გამოვთავყვანდი! სულ ამას ვკითხულობ,  
სად არის-მეთქი. რა ვიცი, კაცო, რამ გამომაშტერა, ისევ  
შინ მოთბუნებული მგონია... გამომართვი.

ვარიები საჩენში დავსნი და გამოვბრუნდი.

- ფეხები გაუხსენი და საქათმეში შეაფრინე.
- სადაცაა გამოჩნდება დედაჩემი და ის მიხედავს.
- მამაშენი სადღაა?
- სახლის უკან კედელი ჩამორეცხა წვიმამ და იმას  
ლესავს...

- საით გაგიწვივათ?
- სტადიონზე, სანადლეოზე უნდა ვითამაშოთ.
- ვისა ხვდებით?
- მეცხრეკლასელები აგვიხირდნენ, თქვენზე მაგრები  
ვართო.

— დასხედით, — მანქანის კარი გამოალო.

წინა სკამზე დავჯექი.

— მამაშენს ვნახავდი, მაგრამ ძალიან მეჩქარება, —  
მითხრა გიამ. მოატრიალა მანქანა და თავქვე დაეშვა.  
ნელა მიჰყავდა.

— წავაგებთ, — თქვა დათომ, — გული მეუბნება, წავა-  
გებთ.

— მეც ასე მგონია, — ელიმება მამუკას, — თანიაშვი-  
ლიც რაიონულ ნაკრებშია, კობახიძეც, მიდი და დაიჭი-  
რე — თავდამსხმელები მაინც არ იყვნენ.

— თქვენა, შვილოსა, უკვე ხელები გაქვთ აწეული და,  
ნეტა გამაგებინა, რაღას მიდიხართ სათამაშოდ, — ჯავ-  
რობს გია, — ეგრე წახდენა გაგონილა?!

მერე რას ლაპარაკობდნენ, აღარ გამოვიდა, ჩემი ბავ-  
შვობა გამახსენდა და ფიქრმა წამილო: სინარულით ვჯდუ-  
ბოდი ამ „ვოლგაში“ და არაფრის დარდი არ მქონდა,  
მარტო იმას ვნატრობდი, დიდხანს, ძალიან დიდხანს მე-  
ლო მანქანით. ყველა მე მეფერებოდა, დიდად მომი-  
კითხავდნენ ხოლმე, მეგონა, მართლაც ძალიან ვუყ-  
ვარდი ყველას. ის უზრუნველი დღეები, საოცარია, მაგ-  
რამ უფრო ჩრდილივით მადგას, უემურ ზღაპარივით  
ამოტივტივდება ხოლმე.

ჩვენი სახლიდან შორს არ არის სტადიონი, ახლა კი  
უფრო მალე მივედით. თურმე ბიჭები უკვე გადასულან  
მანქანიდან, ტანსაცმელიც გამოუცვლიათ, მე კი ისევ  
მანქანაში ვზივარ და ჩემი ბავშვობის დღეებში ვიხედუ-  
ბი. ალბათ მიმიხვდა გია:

— ვიწვალებთ, ვივაგლახებთ და წუთისოფელიც ჩა-  
თავდება. ოცდაჩვიტმეტში დახვრიტეს პაპაჩემი, საშუა-  
ლო სკოლის დირექტორი იყო. ბებიჩემიც იმ სკოლაში  
მასწავლებლობდა. ერთ დღეს, თურმე, პაპამ პედსაბჭოს  
სსდომა მოიწვია თავის კაბინეტში. გაალო კაბინეტის კა-  
რი და მასწავლებლებს შეუძღვა. ვიღაცამ უთხრა, პატივ-  
ცემულო გიორგი, შარვალი გაქვთ გარღვეულიო. მართ-  
ლაც გამორღვეული ჰქონია. მოტრიალდა უკან და ცოლს  
მიაშვირა თითო, ამის ხელში ასეთი შარვალი რომ მაქვს,  
ესეც მიკვირსო. კარის გვერდით, კედელზე სტალინის  
სურათი ეკიდა თურმე, რომელიღაც მასწავლებელმა და-  
აბეზლა, სტალინის სურათს მიაშვირა თითო. ჩაიყვანეს  
და გააქრეს. მამაჩემი მეტყვის ხოლმე, ახლა დახვრეტის  
მაინც არ გვეშინიაო. მაშინდელი დრო ყოფილიყო, მა-  
მაშენი დღეს ვერ გალესავდა კედლებს. ისე მაქვს მან-  
ქანა მობეზრებული, როცა ფუჭდება, ცასა ვწვდები სი-  
ხარულით — ვისვენებ. მამაშენი არ მეცოდებოდეს, კვი-  
რაში ორჯერ არ მოგაკითხავდით... რა გადარდებს, შე  
კაი კაცო! სადარდელი შენ მერე თქვი, მარტო რომ  
დაადგები ცხოვრების გზას...

ის თამაში წავაგეთ.



ნელ-ნელა, ლაპარაკ-ლაპარაკით დავბრუნდით სტადიონიდან. შინ რომ მივედი, სინათლეები ენთო უკვე.

ხელ-პირის დაბანას ვაპირებდი, მაგრამ მერე გამახსენდა, ტანზე პერანგს რომ მაწებებდა ოფლი. ვიფიქრე, ბარემ აბაზანაში შევალ-მეთქი და კიბეს ავუყუევი. მამაჩემის ყვირილი მომესმა. მივაყურადე:

— ხომ დაისვენა შენმა ძმამ, ჩემს გაბითურებას ხომ მოესწრო!

— რას ერჩი, თავის ოჯახს აკლებდა, ჩვენ კი არაფერი მოგვაკლო, — მშვიდად პასუხობდა დედაჩემი.

— მაგას სოფლის დასანახად აკეთებდა!

— მაშინ ვერ გიცვნიო ლევანი.

— ისევ იცავ ხომ?

— არაფერი სჭირს ჩემი დასაცავი.

— შენ ასე გგონია?

— მაშინ სოფელსა ჰკითხე.

— აღარც სოფელია სანდო!

— ყოველთვის სანდოა სოფელი.

— ხმა ჩაიწყვიტე, ამას უყურე, როგორ წაიგრძელა ენა!

ველარ მოვითმინე და ოთახში შევევარდი:

— ვის უყვირი, რომ უყვირი! — წინ დავუდექე მამაჩემს, — სადა გგონია თავი! რა უფლება გაქვს, ასე რომ ღრიალებ!

— ვაიმე! — წამოხტა დედაჩემი, — ვის ეუბნები, შვილო?!

— მომეშვი!.. შენი ეგეთი ხმა აღარ გავიგონო ამ ოჯახში! შენი სახსენებელი არ არის ბიძაჩემი.

მთლად დაიბნა მამაჩემი, ტანტზე დაეშვა და მოგუდული ხმითა თქვა:

— ისეთი რა ჩავიდინე, შვილო?

— უყურე ამას! დამიწყო აქ უფროსობა!.. ვის უყვირი, რომ უყვირი!.. ვინ მოგცა ამისი უფლება!..

გამოვინხურე კარი და ეზოში ჩამოვედი. ერთხანს ვიდექი, ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა თავში. მერე ცრემლი მომერია, პირი დავიბანე, გავიხურე ჭიშკარი და აღმართს შევეუდექი.

ის დამე ბიძაჩემის სახლში გავათიე.



კომკავშირული მატინის შემდეგი ფურცელი სამშობლოს თავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში გამოჩენილი თავგანწირვისა და გამბრძნის ამსახველი სტრიქონებითაა შევსებული.



კომკავშირული მატინის შემდეგი ფურცელი სამშობლოს თავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში გამოჩენილი თავგანწირვისა და გამბრძნის ამსახველი სტრიქონებითაა შევსებული.

მუზეუმში გამოფენილი ნატყვიარი კომკავშირული ბილეთები, გაცრეცილი სამკუთხა ჯარისკაცური ბარათები, ფოტოლოკუმენტები დიდ სამამულო ომში გამოჩენილ თავდადებაზე მოგვითხრობენ.

1941 წლის 22 ივნისი. ქვეყანას ძნელბედობის ყაში დაუდგა. ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და მოსპობით დაემუქრა მას. სამშობლომ უხმო თავის შვილებს და ისინიც უყოყმანოდ აღსდგნენ მის დასაცავად.

შეწყდა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. მიდიოდნენ ვაჟაკები ფრონტზე. ემშვიდობებოდნენ მშობლებს, ცოლ-შვილს, და-ძმას, ემშვიდობებოდნენ ნასათუთევე ვენახს, ლურჯ მთებს, სტოვებდნენ ჩარხებს, უმალღესი სასწავლებლების აუდიტორიებს... მიდიოდნენ ბოღმაჩაგუბებული გულითა და გამარჯვების რწმენით. საქართველოს 600 ათასამდე წარგზავნილი იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, მათ შორის 180 ათასზე მეტი კომკავშირელი იყო. მათგან მხოლოდ ყოველმა მესამემ გაიარა ომის გზები ბოლომდე, გამარჯვებამდე, 120 ათასი კი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს თავისუფლებას.



ომის დაწყების დღეს თბილისელი ახალგაზრდების ჯგუფმა წერილით მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს და ფრონტზე გაგზავნა სთხოვა. ახალგაზრდა პატრიოტთა წერილში ნათქვამი იყო: „სიტყვას გაძღვეთ, რომ ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სრულ გამარჯვებამდე, მტრის სრულ განადგურებამდე“.

სწორედ ასე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს ზოიარუხაძემ, შოთა გამცემლიძემ, მირზა გელოვანმა, ვახტანგ ჩიქოვანმა, ათასობით მათმა თანატოლმა.

„ათასი სიცოცხლე რომ მქონოდა, ყველას სამშობლოს შევწირავდი“, — იწერებოდა ფრონტიდან ვახტანგ ჩიქოვანი;

„მაპატიე, დედა! სხვაგვარად არ შემიძლია! გახსოვს, გამოთხოვებისას რომ გითხარი, ან გმირი დაებრუნდები, ან ბრძოლის ველზე მოვკვდები-მეთქი... მჯერა, დედა, რომ შენს გულში მუდამ ვიცოცხლებ!“ — დაღუპვამდე რამდენიმე საათით ადრე მოსწერა დედას შოთა გამცემლიძემ;

„მე დავბრუნდები ამ ომიდან გამარჯვებულ ლაშქართან ერთად“, — თავისი რწმენა გამოატანა საქართველოში ლექსს მირზა გელოვანმა.

ვაი, რომ ვერ დაბრუნდნენ ბიჭები, ველარ იხილეს მშობლიური მი-

წა-წყალი, ველარ გადაუსვეს დედას ხელი ჭალარაშერეულ თმაზე...

სამშობლოსთვის თავდადების სიმბოლოდ შემორჩა ხსოვნას მათი სახელები. მათ გმირულ თავგანწირვას დავიწყება არ უწერია.

1942 წლის ზაფხულზე ფაშისტური გერმანიის ჯარები კავკასიისკენ გამოიჭრნენ. გერმანელები ვარაუდობდნენ ბაქოს ნავთის და საქართველოს მანგანუმის ხელში ჩაგდებას, ამიერკავკასიის ხალხების დამორჩილებას. 1942 წლის 27 სექტემბერს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის ახალგაზრდების ანტიფაშისტური მიტინგი. მისმა მონაწილეებმა შეჭვიცეს სამშობლოს: „გეფიცებით, რომ ყოველ მთას,



მირზა გელოვანი

წლებში საქართველოში 1277 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა, მათგან 357 — ფრონტული ბრიგადა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ბრიგადების წევრები დღე-ღამეს ასწორებდნენ.

1943 წელს საქართველოს ველმინდვრებში მუშაობდა 13 ათასი კომკავშირელი გუთნისდედა, 600 ტრაქტორისტი. საქართველოს ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ფრთა შეასხეს ხულოს რაიონის კომკავშირელთა თაოსნობას, რომლებმაც ზოია კოსმოდემიანსკაიას პატივსაცემად მისი სახელობის ლაშქრობა გამოაცხადეს. ლაშქრობის მიზანი მოსავლის უდანაკარგოდ აღება იყო.

ფრონტისთვის შრომა ასულდგმულებდა იმ დღეებში ყველას. დიდსაც და პატარასაც.

1943 წლის მაისში საქართველოს მშრომელებმა ფრონტიდან მიიღეს „ქართველ მებრძოლთა წერილი“, რომელმაც აღაფრთოვანა მთელი ქართველი ხალხი, ახალი შრომითი მამაცობისათვის განაწყობა იგი.

საბჭოთა ხალხმა გაუძლო გამოცდას, მტრის ძლიერებას ერთსულოვნება და თავდადება დაუპირისპირა და კიდევ გაიმარჯვა. ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი ქართველმა ხალხმაც შეიტანა.



ვახტანგ ჩიქოვანი

ყოველგორაკს, ხეობას, ბუჩქს გადავაქცევთ მიუვალ ზღუდედ და შავ სამარეს გავუმზადებთ მტერს ამიერკავკასიის კარიბჭესთან. გეფიცებით, რომ დავდგებით მიუვალ კლდესავით და არ დავუთმობთ მტერს არც ერთ მტკაველ მშობლიურ მიწას.“ ახალგაზრდობამ პირნათლად შეასრულა ფიცი.


დიდ დახმარებას უწევდნენ ფრონტს საქართველოს მშრომელები. შინ დარჩენილნი ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ საიმედო ზურგის შესაქმნელად.

ფრონტის მოსამარაგებლად, გამარჯვების გამოსაჭედად კომკავშირის ინიციატივით სამამულო ომის



ზოია რუხაძე





უფინანსისტობა ეგებოდა და მოანგარიშედ ირაკლი ფილიძევი წესს, აღმრიცხველად თაშვილი. სწორედ ამ უკანასკნელთ მიენდო თანატოლთა შრომის აღრიცხვა და შესაბამისი ანაზღაურების განსაზღვრა.

მოსწავლეები, მაშინდელი მეცხრე-მეთექვსმეტელები, ძირითადად ორ საამქროში, ოთხ და სამქურიანი ქულების საამქროებში დაასაქმეს, ხუთ-ხუთი მათგანი კი სარემონტომექანიკურსა და საინსტრუმენტო საამქროებში გაამწესეს. როგორც ნამდვილ საწარმოს შეეფერება, „სიკაბუკეს“ გეგმაც განუსაზღვრეს და პროდუქციის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნებიც გააცნეს. და ამუშავდა სასკოლო ქარხანა, თავისი შრომითი რიტმი შეიძინა. კვირაში ერთხელ სკოლის თითო უფროსი კლასი (აღრე IX-X, ახლა კი X-XI) ხუთ აკადემიურ საათს ატარებს აქ (ბუნებრივია, ამ დღეს მათ სკოლაში მეცადინეობა არა აქვთ ხოლმე). ყმაწვილები თავიდან ბოლომდე აწყობენ სამ და ოთხქურიან გაზის ქურებს. ზოგმა ისე გაიწაფა ხელი, რომ ლამის დიდი ქარხნის ამწყობებს არ ჩამოუვარდება, — სისწრაფეში იგულისხმება, თორემ ხარისხით მათი ნახელავი ოღნავადაც კი არ განსხვავდება უფროსების ნახელავისაგან. ოთხქურიანი გაზქურების საამქროში მომუშავე თამარ აბაზაძე და მაკა სხირტლაძე დღეში სამ-სამ ქურას აწყობენ, სამქურიანების საამქროში დასაქმებული ირაკლი ფილიძევი და ლალი მაისურაძე კი შვიდ-ათს. მათ არც სხვები ჩამორჩებიან, ხოლო ბასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა ყველას ერთნაირად მაღალი აქვს და სწორედ ეს, ყოველი ადამიანისათვის უპირველესად აუცილებელი თვისება ეხმარება მათ, ისე ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს, რომ მათ ნახელავს მცირედი წუნიც არ დაედებოდეს. ნამდვილად ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაგისახელებენ ქარხნის კონტროლიორები, — ეს უკანასკნელები კი ორივე ქარხანას, დიდსაც და მის ნაბარტყსაც, საერთო ჰყავთ, — რომ მოსწავლეების

# ქარხნის „სიკაბუკე“ ჰყავს

მანანა ბელაშვილი

საამქროს უფროსი ბიორბი რაზმაძე გეგმის შესრულების მაჩვენებლებს აცნობს მოსწავლეებს.

ლექტივის ბუნებრივ ნაწილს შეადგენენ.

ქარხნისა და სკოლის მეგობრობათანამშრომლობას ბარემ ათი წლის ისტორია აქვს. მთელი ეს ხანი საბაზო საწარმო ზრუნვასა და გულისყურს არ აკლებდა იქვე, ყურისძირში მდებარე სკოლის მოსწავლეებს, მატერიალურ-ტექნიკური პირობების მოგვარება-გაუმჯობესებაშიც ეხმარებოდა, გოგო-ბიჭების შრომით აღზრდაშიც და მათ სამომავლოდ დაკვალიანებაშიც. გასულ გაზაფხულზე კი ამ ურთიერთობამ ახალი ფორმა მიიღო და, შესაბამისად, ახალი შინაარსიც შეიძინა. „სიკაბუკე“, რომლის შექმნის იდეა სკოლის დირექტორს ნანა ჯულელს და ქარხნის მაშინდელ ხელმძღვანელს დავით ზუბიტაშვილს ეკუთვნით. მათივე უდიდესი მოწადინებითა და ხელშეწყობით ჩამოყალიბდა „სიკაბუკე“ ნამდვილ შრომით კოლექტივად. რაღა თქმა უნდა, მინი-ქარხანა უფროსი ქარხნის სქემა-სტრუქტურის მიხედვით აეწყო და თავისი შრომითი მაჩისცემაც მისას შეუთანხმა. კოლექტივის ხელმძღვანელი სჭირდებოდა და დირექტორობა ყველამ ერთხმად მეთექვსმეტე კობა მარტიანელის ანდო, მოადგილედ თამარ აბაზაძე აირჩიეს, არც

აღბათ ძნელი წარმოსადგენია, თუ შეიძლება, რომ ჩვენს სინამდვილეში რომელიმე ქარხანას „სიკაბუკე“ ერქვას. არადა, სწორედ ასეთი სახელი შეურჩიეს თავიანთ სასკოლო ქარხანას თბილისის მე-12 საშუალო სკოლის უფროსკლასელებმა. აღბათ გაიფიქრებთ — აბა, ეგ რა ქარხანაა, ნამდვილი კი არა, სასკოლო ყოფილაო. ნურას უკაცრავად! სწორედ რომ ნამდვილი ქარხანა გახლავთ „სიკაბუკე“ — თავისი შრომითი კოლექტივი ჰყავს და თავისი ხელმძღვანელობა, თავისი საწარმოო გეგმა აქვს და თავისი ფულადი ანაზღაურება...

თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში ცოტა ახალგაზრდა როდი შრომობს და მაინც დილაობით ქარხნისაკენ მიმავალ მშრომელთა ნაკადში აშკარად გამოირჩევიან ეს 16-17 წლის ყმაწვილები, მე-12 საშუალო სკოლის უფროსკლასელები, რომლებიც დღეს ამ შრომითი კო-



მიერ აწყობილ გაზქურებში ზადი აღმოეჩინოთ. უნდა ნახოთ, რა გულ-მოდგინებითა და სერიოზულობით მუშაობენ მოსწავლეები, რა კეთილ-სინდისიერებით არგებენ თუ ამაგრებენ თითოეულ დეტალს, უმცი-რეს ჭანჭიკსაც კი. ნებისმიერი, სულ უმნიშვნელო წუნიც კი „სიჭაბუკის“ მთელი კოლექტივის შრომითი თავ-მოყვარობისა და ღირსების შელახ-ვა იქნება — ასე სწამთ სასკოლო მი-ნი-ქარხნის კოლექტივის წევრებს, ამ შეგნებით შრომობენ და შედეგსაც საუკეთესოს აღწევენ. არსებობის ერთი წლის მანძილზე „სიჭაბუკემ“ ათასზე მეტი გაზქურა დაამზადა. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, ბევრი თბილისელისა თუ საქართვე-ლოს სხვა ქალაქ-რაიონების მცხოვ-რებთა სამზარეულოში სწორედ აქა-ურ ხელმარჯვეთა მიერ აწყობილი გაზქურა იდგეს.

სასწავლო და, შესაბამისად, „სი-ჭაბუკის“ სამეურნეო წელი რომ მიი-


კაცია მიენიჭათ. რა თქმა უნდა, თი-თო-ოროლა ისეთი იყო, ვინც სა-ჭიროზე დაბალი ნიშანი მიიღო და ამით თანრიგის მიღების საშუალება დაკარგა.

ძნელი საფიქრებელია, მხოლოდ მოსწავლეების მონდომებას, უდიდე-სსაც კი, და საქმეში გამოჩენილ კეთილსინდისიერებას, სამაგალითო-საც კი, ასეთი ხელშესახები შედე-გი მოეტანა, რომ არა გაზის აპარა-ტურის ქარხნის კოლექტივის შეგნე-ბული მიდგომა და საქმიანი მხარ-დაჭერა. საამქროს უფროსებმა — თედო გუმბერიძემ, ირაკლი გელა-შვილმა, გიორგი რაზმაძემ და იო-სებ გუმბერიძემ — ბავშვებთან ურთიერთობაში ყველაზე სწორი და გამართლებული ტონი აირჩიეს. ამ ადამიანებს კარგად ესმით, რომ სწო-რედ მათზეა მნიშვნელოვანწილად და-მოკიდებული ის, თუ შრომისადმი როგორ დამოკიდებულებას გამოიმუ-შავენ ახალგაზრდები ამთავითვე,

ჩაიყრება თუ არა. მინი-ქარხანაში შრომის პროცესში ის საქმიან-რომელსაც უნდა დაეფუძნოს, მომე-ვალში თითოეული მათგანის შრო-მითი საქმიანობა; ისიც იციან, რომ შრომის დისციპლინა და გაკეთებუ-ლის გამო პასუხისგებაც ახლავე უნ-და ჩაუნერგონ ამ გოგო-ბიჭებს და, რაღა თქმა უნდა, იმასაც ფიქრობენ, რომ მათი უმეტესობა თუ არა, ერ-თი მცირე ნაწილი მაინც შეიძლება დღეს-ხვალ სულაც ამავე ქარხანაში მოვიდეს სამუშაოდ და მისი კოლექ-ტივის ბირთვიც შეადგინოს. ამიტო-მაც იჩენენ ასეთ გულისხმიერებას, მოთმინებას და ალლოიანობას ბავ-შვებთან ურთიერთობაში. უთუოდ ამის შედეგია ისიც, რომ მოსწავლეე-ბი მათაც ისეთივე მასწავლებლებად თვლიან, როგორც, თუნდაც, პრაქ-ტიკის ხელმძღვანელებსა და საწარ-მოო შრომის ორგანიზატორს ნანუ-ლი მასიურაძეს, შრომის მასწავლე-ბელს არჩილ ფურცელაძეს.

გაივლის დრო და მიმოიფანტები-ან „სიჭაბუკის“ წევრები, მათ აღ-გილს მომდევნო და მომდევნო უფ-როსკლასელები დაიჭერენ. დროთა განმავლობაში ალბათ უფრო სრულ-ყოფილი გახდება სასკოლო ქარხნის სტრუქტურა, ალბათ მისი ფუნქციე-ბიც გაფართოვდება და ეს ყველა-ფერი მხოლოდ და მხოლოდ სასი-კეთოდ დაეტყობა მინი-ქარხნის საქ-მიანობას. უცვლელი დარჩება მისი დანიშნულება — გამოუმუშაოს მოს-წავლეებს შრომითი გამოცდილება.


ფოტო ლ. იაპოზაშვილისა



შრომის მასწავლებელი არჩილ ფურცელაძე კამაოვილია თამარ ქსოვილის ნახელავით.

ლია, მინი-ქარხნის უფროსი თაობა — დამამთავრებელი კლასების მოს-წავლეები — საკვალიფიკაციო გა-მოცდაზე წარსდგა. ყმაწვილების უმ-რავლესობამ კომპეტენტური საკვა-ლიფიკაციო კომისიის მაღალი შეფა-სება დაიმსახურა, მათ მეორე თან-რიგის ამწყობი ზეინკლის კვალიფი-

ამ ერთ ჰანოიასაც მოუპირან ბიჭები და ისე მოარგებენ ჭურას ზედა ნაწილს.







# მისწერეთ მეგობარს, ტავუშეთ!

ნ ი ნ ო ხ ა რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი

დიდი ლუკმა ჩაიდევნი — ქმარს შეხედე, პატარა ლუკმა ჩაიდევნი — შვილს შეხედეო. ამ შესანიშნავმა ანდაზამ გამახსენა ქალბატონი რუსუდანის ბედნიერი მეუღლეობა, დედობა და კიდევ უფრო ბედნიერი და ნანატრი ბებიობა ოთხი შვილიშვილისა — წყვილი ქალვაჟის... დიას, მთელი ამ ქალური სიკეთით გულსავე მანდილოსანია რუსუდან გამსაზურდია, ჟურნალისტი, რომელსაც გამორჩეულად დიდი ამაგი აქვს ჩვენი ყმაწვილების კარგ აღამიანებად და ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის საქმეში.

ჟურნალისტიკაში მოსვლას თვითონ შემთხვევას მიაწერს. იმ ზაფხულს უფროს პიონერხელმძღვანელად უმუშავებდა ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში, კორესპონდენტი ჩასვლიათ სტუმრად გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან“, მასალა უნდა დაეწერა პიონერთა საბანაკო ცხოვრებაზე. მგზავრობით დაღლილობა მოუმიზეზებია კორესპონდენტს, ცოტას დაეღვივნებო და საჭირო მასალების თავმოყრაში დახმარება უთხოვია ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელისთვის. მერე კიდევ მოსწონებია, ალღოიანობისთვის შეუქცია ახალბედა დამხმარე. ეს იყო სულ პირველი ბიძგი. ამ შემთხვევას საკუთარ შესაძლებლობათა მოსინჯვის ცდაც არ შეიძლებოდა რქმეოდა, მაგრამ გაზეთისთვის რაიმეს დაწერის მოთხოვნილება კი დიდი გაუჩენია პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქალიშვილისთვის. ასე აღმოჩნდა რუსუდან პერკინა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის მისაღებში. მთავარი იყო ეს გაბედვა, მას შემდეგ უკან აღარ დაუხევია.

სწორედ იმ დღეებში ესტუმრა სამსახურში მეგობარს, თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელს. პიონერთა ოთახის ერთ კუთხეში მისხდნენ სასაუბროდ. ბავშვების აღფრთოვანებულმა ლაპარაკმა დააინტერესა, პიონერები ბულგარელი თანატოლებისაგან მიღებულ წერილებს კითხულობდნენ, ხარობდნენ.

ეს იყო მისი სულ პირველი რეპორტაჟი. იგი რამდენიმე დღეში დაიბეჭდა „ნორჩ ლენინელში“, მაგრამ რაღა დროს პირველი პუბლიკაციით გახარება იყო... მასალის ბოლოს, მისი გვარ-სახელის ქვემოთ, რატომღაც მისი მეგობრის თანამდებობა—1-ლი საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი იყო მიწერილი... ეცა აქეთაც, იქითაც, მაგრამ, შეცდომის მიზეზი ვერ აუხსნა რე-

დაქციამ. აიბრიზა მეგობარიც. ასეთი იყო მისი პირველი ჟურნალისტური გაცვეთილი, არცთუ ტკბილი, სამაგიეროდ, ბევრის დამნახვებელი... ამან თითოეულ „სტრიქონზე“ პასუხისმგებლობა ასწავლა, ერთხელ მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება, მასალის ბოლომდე მიყოლა.

კურიოზებში ყოველთვის მიმართლებდაო... ერთ ასეთ შემთხვევას ყვება, ამჯერად „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში კორესპონდენტად მუშაობის დროინდელს. ძიება მუდამაც ყოფილა ამ გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის თავიდათავი თვისება, მით უმეტეს იმ წლებში, როცა ბავშვის სულთან ბუნებრივად მისვლის ათასგვარ გზას ეძებდნენ, როცა, მათივე შეხედულებით, ბავშვის ცოცხალი სასაუბრო ენა ასე აკლდა მათ გაზეთს. ექსპერიმენტი შემდეგ ითვალისწინებდა — მცირე ხნით „დამოწაფებოდნენ“ თავისსავე მკითხველს. მოეწვიათ რედაქციაში ნორჩები და მოესმინათ მათი ბუნებრივი და თავისუფალი მსჯელობა, მათი გულწრფელი და საუბარშივე დაბადებული ცინცხალი აზრები, როგორმე დაეფიქსირებინათ ეს ყოველივე.

მაგნიტოფონი მაშინ სად იყო... მოიწვიეს სტენოგრაფისტიც, ბავშვებიც. მათთან საუბრის წარმართვა რედაქციამ ქალბატონ რუსუდანს მიანდო. ამ ფაქტს დღესაც უკმაყოფილოდ იხსენებს. გაჭირდა უცნობ ბავშვებთან მისვლა, მათი სულისა და ხასიათების უცებ გახსნა... როგორღაც ვერ აეწყო გულწრფელი საუბარი, „ჩავარდა“ ღონისძიება. იზარალა მაშინ რედაქციამ — სტენოგრაფისტ ქალს იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა — 45 მანეთი გადაუხადა. მაშინ დაიფიცა — ძალზე ბევრი ემუშავა და მიეღწია ბავშვების მაქსიმალური გულანდილობისთვის, მიეღწია იმისათვის, რაც დღეს მისთვის ასე ბუნებრივია: ქვეუღიყო ბავშვებისათვის სულ ახლობელ აღამიანად, უბრალოდ „რუსუდან დეიდად“, რომელიც უამრავ გულწრფელ წერილს იღებს მათგან — ეს წერილები დღეს საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქციის ყოველდღიური ფოსტის უმეტეს ნაწილს შეადგენს.

გამორჩეულად ბევრია აქ ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერთა წერილები: რუსუდან დეიდა მათ თავისი ერთ-ერთი მივლინების დროს დაუმეგობრდა. აი, სკოლის მეშვიდეკლასელთა ერთობლივი წერილი, მასში პირველი მეოთხედის დამთავრებისა და ქალაქის კეთილმოწყობის ამბებს იწერებიან; მეექვსეკლასელი გიორგი ოქრომელიძე თავისი მეზაღვობით აწონებს თავს რუსუდან დეიდას, ხათუნა ყურმაშვილი მესხური გაზაფხულისა და მდინარე ფოცნოვის სილამაზეზე ესაუბრება, ლაშა გელაშვილი „ცისკრის“ რაიონულ შეჯიბრებაზე ასპარეზობის შთაბეჭდილებებს უზიარებს, სანათა ნაროზაული თანაკლასელების ბუტი-აობას შეუწუხებია და, როგორც ჩანს, მოუთმენლად მოელის რჩევას თავისი საყვარელი რუსუდან დეიდასაგან.

რუსუდან დეიდა, როგორ ბრძანდებით, რუსუდან დეიდა, როდის ჩამოხვალთ, რუსუდან დეიდა, გვირჩიეთ, გვასწავლეთ, დაგვეხმარეთ... შეიძლება ვინმეს უმნიშვნელოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ბავშვურ პრობლემებთან, ურთიერთობებთან და, მეტადრე, ბავშვების სატკივართან, ხუმრობა არ შეიძლება. იმისათვის, რომ თავადაც გამგები და თანამგრძნობი აღამიანები დადგნენ, ყველაზე მეტად მათ გაგება, თანაგრძნობა და ყურადღება სჭირდებათ. სჭირდებათ თუნდაც იმიტომ, რომ ერთ



მშვენიერ დღეს არ მივიღოთ მოსწავლეთა წერილი, რომელშიც უსამართლობაში სდებენ ბრალს მასწავლებელს და დამსახურებულადაც. საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა მთავარმა რედაქციამ ამ რამდენიმე წლის წინათ ფართო მსჯელობის საგნად აქცია თბილისის 150-ე საშუალო სკოლაში მომხდარი შემთხვევა, როცა „მატალის“ თაოსნის გამოვლენის მიზნით, მასწავლებელმა მთელი კლასი წყალმოსხმულ იატაკზე დააჩოქა და აიძულა იგი, ამხანაგი გაეცა.

სამოცდაათიანი წლების მოსწავლეებს ახსოვთ „მზის იალქანი“ — ბავშვთა სატელევიზიო თეატრი, რომელიც პატარა სპექტაკლებად აქცევდა ხოლმე სკოლაში თუ სკოლისგარეთ მომხდარ ამა თუ იმ კონფლიქტურ ან საგულისხმო სიტუაციას. „ამ გადაცემის ღირებულება სცილდება მოსწავლეთა ინტერესების ფარგლებს. იგი საინტერესოა მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაზრისითაც“. — სწერდა რედაქციასა და გადაცემის ავტორს ქალბატონ რუსუდანს ბათუმელი პედაგოგიკის მეცნიერებთა კანდიდატი იური ბიბილეიშვილი.

„მზეს იალქანს ჩამოვაბამ, ცისარტყელას იალქანს, მთვარესა ვთხოვ ვერცხლის გვირგვინს და სილაღეს ნიავ-ქარს“ — ესეც გამოხმაურებაა. იგი „მზის იალქნის“ ერთ-ერთ მაშინდელ ყველაზე უფრო თავგამოდებულ თავყვანისმცემელს, თბილისელ ნორჩ პოეტს მაყვალა გონაშვილს ეკუთვნის. მაყვალა დღეს უკვე ნამდვილი პოეტია, საკუთარი პოეტური კრებულის ავტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისიც საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა მთავარ რედაქციაში მუშაობს, თავის საყვარელ აღმზრდელთან რუსუდან გამსახურდიასთან ერთად და დიდი გატაცებით ემსახურება ნორჩთა მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბებას.

სამ ათეულ წელზე მეტი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე ჟურნალისტისთვის ძნელია თავისი საუკეკეთესო და მეტ-ნაკლებად რეზონანსიანი პუბლიკაციებისა თუ სატელევიზიო და რადიოგადაცემების თითებზე ჩამოთვლა. ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას: მთელი ამ წლების მანძილზე ქალბატონი რუსუდანი საქართველოს პიონერული ორგანიზაციის, მისი წარმატებებისა და წარუმატებლობების გატაცებული მსახური. გახსოვთ, „წიგნადმეკრული სხივები“? ან უფრო ძველებს — თქვენი მშობლების ასაკისას, აბა, ჰკითხეთ, რა ამაგი დასდო ქალბატონმა რუსუდან გამსახურდიამ, „ნორჩი ლენინელის“ სხვა მაშინდელ თანამშრომლებთან ერთად, მათი კარვების ქალაქს „მზიანეთს“?! თქვენ, რა თქმა უნდა, რუსუდან დეიდას ავტორობით მომზადებული არა ერთი სატელევიზიო გადაცემაც გინახავთ. შეგახსენებთ ამ ბოლო წლებისას: „კარგი ჩვენც მოგვეწონება“, „როგორ დავინსნათ თავი ალკიბიადესგან“, „ზრუნვა“, „ვისი გარისა ხარ“... გახსოვთ საოცარი სიტყვები, რომელსაც თავისი სკოლის მასწავლებლებს ეუბნებოდა „მათი გაკვეთილების“ მთავარი გმირი, პედაგოგიური დინასტიის მამამთავარი, ზუგდიდელი მხცოვანი მასწავლებელი ორესტ ქირია?... ხალხო, თავი არ მომჭრათ, სანამ ყველა არ შეიძენს სოფელში, იქამდე არც ერთმა თქვენგანმა არ იყიდოს პურიო...

„იცოდე სამშობლო“ — ასე ერქვა ქალბატონი რუსუდანის ამ ექვსი წლისწინანდელ გადაცემას თბილისის საქარხნო რაიონში მცხოვრებ ერთ ოჯახზე, რომელსაც



რუსუდან გამსახურდია

შესანიშნავი შვილები ჰყავს. მაშინ ამ ოჯახის უმცროსმა შვილმა მიშიკომ ძალზე საინტერესოდ ახსნა თავისი მასწავლებლის სიტყვები. ამ ოჯახს ორი ოქრო აქვს (უფროსმა ორმა ძმამ ოქროს მედლებზე დაამთავრა საშუალო სკოლა) და ერთიც ოქროზე მეტი განძიო...

მუდამ საინტერესო, მუდამ რაღაც ახალი იდეით ანთებული, მუდამ გადამდებად ხალისიანი და ინიციატივიანი, მუდამ ყურადღებიანი და ტაქტიანი — ეს ეპითეტები ქალბატონი რუსუდანის სახელის გვერდით მასთან შეხვედრამდეც არაერთხელ მსმენია. საინტერესო და თავისებური ამ მშვენიერ მანდილოსანში მართლაც ძალთან ბევრია, ამაში გვარწმუნებს არა მარტო მისი ამდენი წლის ნამუშევარი და მისი საწერი მაგიდა, რომელსაც მთელი ამ წლების ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ყველა წაკითხულ-ჩანიშნული დაუტევია, არამედ ის ადამიანებიც, რომლებიც ცხოვრებისა და მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე ყოფილან მის გვერდით და მასზე ბევრი თბილი მოგონება შემოუნახავთ: წელანაც ვთქვით, ქალბატონი რუსუდან გამსახურდია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა პიონერულ სამყაროში — რუსუდან დეიდას რესპუბლიკის არც ერთი რაიონის არც ერთ სკოლაში მეგზური და წარმდგენი არ სჭირდება. და მაინც, მივცემთ თავს მცირედის უფლებას და კვლავ შეგახსენებთ: მისწერეთ ბავშვებო, თქვენს საუკეთესო მეგობარს რუსუდან დეიდას — საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილეს რუსუდან გამსახურდიას. აკრიფეთ მისი ხალისისა და ენთუზიაზმის კოცონიდან წამოყრილი ცხელი ნაკვერჩხლები. ისინი თქვენ მომავალს გაგინათებენ!





### ბავშვობა

მე ჯერ არ მინდა,  
მოგონებად მექცევ ბავშვობა,  
მე ჯერ არ მინდა,  
მიენატროდე ბედნიერ დღეებს,  
წვიმაში თამაშს,  
ფენშიშველა მდელიოზე სირბილს,  
და მინდა დიდხანს  
ვკრეფდე დედისთვის  
მინდვრის ყვაილებს.

### ი ა ბ ი

იებს შევეყარე ტყისპირას,  
ბუჩქებს აფარებენ თავს,  
ცისფერი ნათელი ჰფენიათ,  
ერთმანეთს უმშვენებენ მხარს.  
ლამაზი თვალები...  
ლამაზი კაბა...  
— ჩემსას წაგიყვანდით, მაგრამ  
მოიწყენთ ალბათ.

ირაკლი ტატიშვილი,  
თბილისი, 101-ე საშუალო  
სკოლა, VII კლასი.

### „დედაენა“

იაკობ გომეზაშვილს  
წიგნი კი არა, ძველია,  
მზის სნივით ხვდება განთიადს,  
შიგ იაკობის ნაშუქი  
ლამაზი ია ხატია.

„დედაენა“ ეს წიგნი,  
ბავშვებს რომ ასე გვანარებს,  
და მუდამ გულში ვისუტებთ  
დედიკოსავეთ საყვარელს.

### დედას

დედავ, გაზარდე შვილი ამაყი,  
რომ გამოადგეს სამშობლოს  
მტკიცედ;  
გაზარდე ისე, როგორც რუსთველი,  
გზა გაუნათოს წინაპრის სიბრძნემ.

გაზარდე ისე, როგორც აკაკი,  
გაზარდე ისე, როგორც ილია,  
რომ გაამართლოს მშობლის ამაგი  
და თქვან: — ნამდვილად ქვეყნის  
შვილია.

### ჩემიონი ინდაური

არ ჰგონია სხვა ძლიერი  
ამ ეზოში მის გარდა;  
გამოენტო ინდაური  
თავში ჩაუნისკარტა.  
გელამ უთხრა: ფალავნობას  
რომ ჩემულობ, მურია,  
ამ ქუჩაზე ჩემპიონი  
მხოლოდ ინდაურია.

### ახალი წელი

მეკვლედ ციდან ფიფქი ცვივა,  
ლამაზი და ფარფარტა,

„მ ძ მ მ ბ რ ი“.  
კახა ჩიტაური  
10 წლის.

ახალი წლის დღილამ თუთრად  
მთა-გორები დახატა.  
თოვლის პაპამ საჩუქრებით  
გაგვიხარა გულები,  
დაგვირიგა თოჯინები  
ჭრელი, თვალხატულები.

მარიკა კანკაძე,  
წყალტუბო, 1-ლი საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

### წელიწადის დრონი ჩემს სოფელში

ჩემი სოფელია ნებოძირი. იგი  
ნამდვილი ცის ძირი გეგონებათ,  
ორივე მხრიდან ისეა მთებით გარ-  
შემორტყმული. წელიწადის ყველა  
დროს ძალიან ლამაზია ჩემი სოფე-  
ლი.

გაზაფხულზე, როცა მინდვრები  
ნაირფერი ყვავილებით მოიჩითება,  
როცა კვირტები აფეთქდებიან, ჩი-  
ტუნებიც აჭიკჭიკდებიან — შორი  
ქვეყნების ამბებს გვეტყვიან, მზე  
გაიღიმებს და სოფელს დააფრქ-  
ვეს თავის დალალებს — ნაკადუ-  
ლებსა და ჩანჩქერებს.



„ნ ა ტ შ მ რ ბ რ ი“. ზონა გომეზაშვილი



ზაფხულობით მწვანეში ჩაფლული სოფელი გულუხვად მასპინძლობს დასასვენებლად ჩასულ სტუმრებს. ისმის ბავშვების ხალისიანი ყრიაჟული.

შემოდგომით, ბუნება ოქროსფერად რომ შეიმოსება, ჩემი სოფელი ჩიტუნებს გააცილებს, გულდაწყვეტილი ღრუბლის ცრემლებით ატირდება და ზღაპრულ ხალიჩას დაუგებს მომავალ ზამთარს.

მერე ზამთარიც მობრძანდება — ქარბუქის ცხენებზემული ყინულის ეტლით... სუსხიანი ნაპერწკლების მგრქვეველ კვერთხს დააბაკუნებს და სოფელს თოვლის საბურველში გაახვევს, სახლებს სახურავებს ძვირფასი სამკაულებით — ყინულის ლოლებით მოურთავს, მინებს ათასფერად მოუხატავს. ბნელ ღამეში კი მხოლოდ მშიერი ტურებისა და ძაღლების ყურისწამლები ყმული თუ გაისმის.

ლამაზი, საოცნებოა ჩემი სოფელი...

ვანდა კაკიაშვილი,  
ხაშური, რკინიგზის 25-ე სკოლა,  
VIII კლასი.



„ლ უ არ ს ა ბ ი“. ვაჟა ჯიჟური, 11 წლის

### მამულს

ჩემო ტკბილო მამულო,  
მოხატულო ნონივით,  
მოხიბლული დაედივარ  
შენი ველით, შენი მითით.

ნედლი მიწის სურნელო,  
ჩაჩჩაა მზის ნათელო —  
ჩემი დედის და მამის  
მშობელო და გამზრდელო...

ვიორგი რომიაშვილი,  
თბილისი, 112-ე საშუალო  
სკოლა, V კლასი.

### მაისი

ათასი ფერით მორთული,  
ისევ მოვიდა მაისი;  
ქალაქის ყველა უბანში  
სიცოცხლის მღერა გაისმის.  
მტრედებმა ფრთები გაშალეს,  
ლურჯ ცას შეჰმატეს ხალისი;  
დადის, სუყველას ახარებს  
ულამაზესი მაისი.

ნოდარ ლაბაძე,  
ზუგდიდი, მე-2 საშუალო სკოლა,  
V კლასი, ნორჩ შემოქმედთა წრის —  
„ფიფქების“ წევრი.

„ლ უ არ ს ა ბ ი და  
დ ა რ ე ჯ ა ნ ი“.  
დათო ჩიტაშვილი,  
12 წლის.



ვახტანგ შელია,  
ზუგდიდი, მე-2 საშუალო სკოლა,  
VI კლასი, ნორჩ შემოქმედთა  
წრის — „ფიფქების“ წევრი.



ნორჩ კორაპონდენტთა ჟურნალი „აიცი“

შემოდგომა მასწავლებლის  
ეზოში

(იმპრეზიონისტებზე საუბრის შემდეგ  
ხილული სურათი)

მზეა. ვაზის მწვანე ფოთოლს, ლედვის ტოტებს, დაფნას, პალმას, ერთთავად მარაოსებურად გადამლილს, მზე უცინის, ეალერსება და თითქოს კიდევ ეკეკლუცება. დაირხევა ვაზის ფოთოლი და მაცაცერა სხივიც ადგილს ინაცვლებს. მზე თითქოს პალმაში ჩასახლებულაო, მისებრ მარაოსებურად გაუშლია სხივები. მზიან ფოთოლს ძარღვებიც უჩანს, უჯრედებიც. ლედვის ტოტებიც შეჰხარაიან მზეს, დაფნაც. მზე ყველას ეფერება, გულს არავის სწყყვებს. ასე ლამაზად იწურება ღღე და ღგება მშვიდი საღამო.





# ვიქტორინა -კონკურსი

გთავაზობთ „პიონერის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებულ ვიქტორინა-კონკურსის პირველი ეტაპის კითხვათა პასუხებს. შეაჯერეთ ისინი თქვენს მიერ მოფიქრებულ პასუხებთან.  
აქვე ვბეჭდავთ ვიქტორინა-კონკურსის II ეტაპის კითხვებს.

1. საბჭოთა ალპინიზმს საფუძველი ჩაეყარა საქართველოში, 1923 წელს, ორი მასობრივი ასვლით მყინვარწვერზე. სპორტულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა გ. ნიკოლაძე, გამყოლი იყო ი. კახალიკაშვილი; საქართველოს გეოფიზიკური ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციას კი ხელმძღვანელობდა ა. დიდებულოძე, გამყოლი იყო გ. წიკლაური.

2. ერთადერთი გუმბათოვანი ეკლესია ხევში სამების ტაძარია, მე-14 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ტაძარი შეიქმნა ძველი ქართული ჩუქურთმით, ხის კარილითონის ფირფიტებითა და რკინის ლურსმნებით არის მოჭედილი. სამების ტაძარი ხევის უხუცესთა ბჭობის ადგილი ყოფილა. მისი მნიშვნელობა-დანიშნულება კარგად აქვს აღწერილი ა. ყაზბეგს „ხევისბერ გოჩაში“: „ამ ხანში წმინდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მიმცემმა ხალხმა ქუდები მოიხადა. მედროშენი დროშებით დაუძღვენენ წინ; უკან წამოაყვა მოწიწებით ხალხი, რომელიც თავის პატივის და სახელის ნიშანს, სახალხო წმინდანს, ცეცხლშიაც წარბმეუხრელად გადაყვებოდა.“

ყველანი სამებისაკენ გაემართნენ; ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც

ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და - განუკითხველად ასრულებდა“.

3. მყინვარწვერზე პირველი ავიდა იოსებ მოხევე მღვდელი. ცნობას მწვერვალზე მისი ასვლის შესახებ ვხვდებით იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „კალმასობაში“.

4. ლევან გოთუას პირველი ლიტერატურული ნაწარმოები მთამსვლელობაზე არის „ხდელაღელური“, რომელშიც აღწერილია 1937 წლის პირველი საბჭოთა ასვლა ყაზბეგის რაიონში ხდეს ხეობაში მდებარე 4432 მ სიმაღლის მწვერვალ შავანაზე (შანი). ამ ასვლას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე; ასვლაში ლევან გოთუაც მონაწილეობდა.

5. ეს არის ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის „განდევილიდან“. დიდმა ილიამ პოემა თავის მეუღლეს, ოლია გურამიშვილს მიუძღვნა. 1948 წელს ყაზბეგის მეტეოსადგურის მუშაკებმა მყინვარწვერის ფერდობზე, 4100 მეტრის სიმაღლეზე, კოვარიტით დაინახეს გამოქვაბული ხის კარითა და რკინის ჯაჭვით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური ექსპედიცია გამოჩენილი მთამსვლელი ქალის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მონაწილეებმა რკინის ჯაჭვის საშუალებით შეაღწიეს გამოქვაბულში, სადაც ნახეს სხვადასხვა ნივთები და მონეტები, რომლებიც მეცნიერებმა მე-11-მე-12


საუკუნეებით დაათარილეს. ყველას მონაპოვარი ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ამ ადგილს ბეთლემი ჰქვია. მას გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონიც იხსენიებს: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალნი და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საქიროო არს, რამე თუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებულ ქვაბიდან და მით აღვლენ...“

6. საქართველოში ყველაზე მაღალი მეტეოროლოგიური სადგურია 3700 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ყაზბეგის მეტეოსადგური. იგი აშენდა 1933 წელს, მთამსვლელთა ინიციატივით. პირველი მოზამთრენიც მთამსვლელები იყვნენ.

7. მთამსვლელ ქალთაგან მყინვარწვერზე პირველი ავიდა ვლადიკავასელი (დღევანდელი ქ. ორჯონიკიძე) პედაგოგი მარიამ პრეობრაჟენსკაია. შემდგომში იგი კიდევ რამდენჯერმე ავიდა ამ მწვერვალზე.

8. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მყინვარწვერსა და იალბუზზე ავიდა ს. კიროვი.

9. მთამსვლელობის ყაზბეგის მუ-





ზეუმი იაგორ კაზალიკაშვილის სახელობისაა. იაგორ კაზალიკაშვილი იყო ერთ-ერთი საუკეთესო გამყოლი, შემდეგში — გამოჩენილი მთამსვლელი, პირველი საბჭოთა ამსვლელი მყინვარწვერზე, იალბუზზე, თეთულდზე, უშბაზე და სხვა მწვერვალებზე. იგი დაჯილდოებული იყო პოეტური ნიჭით. ი. კაზალიკაშვილის ლექსები გამოიცა 1933 წელს. მის შესახებ არსებობს წიგნი „მთის მგოსანი“ (ავტორი დ. გოზალიშვილი) 1983 წ.



10. ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში, ზღვის დონიდან 2200-2300 მ, სამხრეთ ფერდობზე გაშენებულია გუდაურის სათხილამურო კომპლექსი შესანიშნავი საბაგირო გზებით. აშენებულია ავსტრიელების მიერ.

11. პირველი ოფიციალური ასვლა მყინვარწვერზე მეცნიერული და სპორტული მიზნით განახორციელა ინგლისელმა მეცნიერმა დუგლას ფრეშილდმა.

12. მდინარე თერგი სათავეს იღებს კავკასიონის ქედის მწვერვალ ზილგა-ხოხისა და მისი მეზობელი

მყინვარებიდან. სათავეში იგი თრუსოს ხეობაში მოედინება.

13. XVIII საუკუნის მიწურულს, ცნობილი გიორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, დარიალის ხეობით საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარი. ამ დროისათვის თავისი ერთგული სამსახურით სახელი გაუთქვამს ხევის მოურავს, ყაზბეგ ჩოფიკაშვილის შვილს გაბრიელს, რომელსაც მთიელნი დიდ პატივს სცემდნენ.

გადმოცემით, მას დიდი გავლენა ჰქონია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზეც. გაბრიელმა მამის სახელი შეირქვა გვარად, ხოლო მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ერთგული სამსახურისათვის ყაზბეგი უწოდა სოფელ სტეფანწმინდას და კავკასიონის ულამაზეს მწვერვალს — მყინვარწვერს.

14. მყინვარწვერის სიმაღლეა 5047 მეტრი.

● **II ე ტ ა ვ ი ს კ ი თ ხ ვ ე ბ ი** ●

1. რომელი მაღალმთიანი რაიონია ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ძირში?
2. რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი? რომელი მდინარე იღებს აქ სათავეს?
3. დაასახელეთ ქედი, რომელიც ჰყოფს ქვემო და ზემო სვანეთს.
4. ყველაზე პოპულარული მწვერვალი სვანეთში, რომელთან დაკავშირებითაც შექმნილია ლეგენდა ნადირობის ქალღმერთის დალისა და მონადირე ბეთქილის შესახებ? როდის და ვისი მონაწილეობით განხორციელდა პირველი საბჭოთა ასვლა ამ მწვერვალზე?
5. ვისი მემორიალური სახლ-მუზეუმი გახსნილი მესტიაში? რა იცით მის შესახებ?
6. რომელი მთამსვლელის სახელს ატარებს სპორტული ბაზა სოფელ ლატალში? რა იცით მის შესახებ?

7. როდის და ვისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სვანეთის პირველი ალპინადა?
8. ჩვენი მთამსვლელებიდან ვის და სად ეწოდა პირველად „კლდის ვეფხვი“?
9. რომელი ქართველი მთამსვლელის სახელობისაა მესტიის საშუალო სკოლა?
10. რა იცით უშგულის შესახებ?
11. დაასახელეთ სვანეთის გამოჩენილი მთამსვლელები, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები.
12. დაასახელეთ ყველაზე პოპულარული უღელტეხილები, რომლებითაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოდიან სვანეთში.
13. როდის ჩატარდა ალპინადა მწვერვალ უშბაზე? რა იცით ამ ალპინადაის შესახებ?





# ზიროსიმა, ზიროსიმა

წამით აღარ წყდება წვიმა,  
 წვიმაა თუ ცრემლის ჩქერი...  
 ხიროსიმა,  
 ხიროსიმა,  
 მთები,  
 მთები ყორნისფერი!  
 რაც გავჩნდი და დავიბადე,  
 მოვილტვოდი შენკენ ცრემლად,  
 და ჰა, შენს ფიქრს,  
 წუხილს, დარდებს  
 მეც ჩავეწან გულისცემად!  
 რაც გარდაგნდა,  
 რაც აქ მოხდა,  
 აი, აქა,  
 სადღაც აქა,  
 რჩება დედამიწის ოხვრად,  
 კაცთა მოდგმის  
 მტრობის ლაქად!  
 ჰაერს, როგორც ძვირფას მაქმანს,  
 ხელით ვსინჯავ, —  
 ჰაერია!  
 ღმერთო ჩემო, წვიმას ან ქარს  
 ცეცხლი ხომ არ გაერია?!  
 სიტყვას ვეძებ,  
 კვესავს სეტყვა...  
 თვალწინ კრთება კინოკადრი,  
 ის აგვისტო — რაზე, ნეტავ,  
 საით, როგორ,  
 რატომ გარბის?!  
 გახლეჩია ზეცას წარბი,

ეს მზეა თუ სისხლის ტბორი,  
 ამ სიცოცხლის შნო და ყადრი,  
 ფერფლი —  
 დამწვარ მეტეორფს...  
 დნება წამი:  
 ერთი, ორი...  
 ან, პირიქით:  
 ორი, ერთი...  
 თუკი იყო,  
 იყო შორი,  
 მაგრამ ვინ თქვას —  
 ყოფნა ღმერთის!  
 კი არ იწვის —  
 ცეცხლის ლავად  
 იქცა მიწა —  
 მიწა კივის,  
 მის ქუჩებში  
 ცრემლად დავალ  
 და ჩამესმის  
 მსხვერვეა რკინის.  
 აი, აქა,  
 სადღაც აქა  
 აილანძა შავი სოკო,  
 წამში ყველაფერი გაქრა—  
 მთა და წყალი  
 ოკრობოკროდ  
 გადინდა და...  
 დარჩა მასად...  
 დარჩა სიტყვა — „ხიროსიმა“!  
 აი, აქა,

სადღაც აქა  
 მიწის გულმა დაიგმინა!  
 და ქალაქი...  
 არ ღირს მერე!  
 აღარ წყდება დღესაც წვიმა.  
 ოი, ვისაც კარგად ესმის,  
 რა, რა ძალუძს ომის მიკრობს,  
 მისი ყლორტი,  
 ლერო,  
 ფესვი  
 ნუთუ ისევ ცეცხლზე ფიქრობს?!  
 ვისაც დასდებია ბრალად  
 იმ აგვისტოს ხიროსიმა...  
 (საერთოდ და)  
 დღესაც,  
 ხვალაც  
 სიტყვა როგორ დაძრას იმან...  
 სიტყვა —  
 ფუძე რაღაც აზრის —  
 როგორა თქვას:  
 „ხიროსიმა“!  
 როგორც ზედნაშენი ბაზისს,  
 ისე გვიხსნის  
 ცრემლებს წვიმა!  
 მოვდივარ და...  
 ვხუჭავ თვალებს,  
 მოვდივარ და...  
 გული მტკივა,  
 — ადამის ძეგ, შეგვიბრალე! —  
 ახლაც კვნეხის ხიროსიმა!

## ზირო

იქ, ნიპონში,\*  
 თვით არწივზე პირველს, —  
 ლეგენდიდან  
 გადმოხვეწილ ფრინველს,  
 ჩვენ უბრალოდ  
 რომ ვეძახით წეროს,  
 აქ რგებია  
 სულ სხვა ბედისწერა!  
 გეტყვიან, რომ  
 ბუდას ახლოს ბუდობს,  
 ამ ღვთაებრივს,  
 აბა, ვინ შეზღუდავს.

ფლუგერივით  
 ქანაობსო ქართან,  
 კომპასია  
 ბავშვთა, კაცთა, ქალთა...  
 თურმე ქვეყნად  
 ყველაფერს და ყოველს  
 მისი ფრთების  
 შარიშურით ჰპოვებ.  
 ბეჩავს, თურმე,  
 მხოლოდ ეგ იფარავს,  
 არ დატოვებს სიღარიბის კარად!  
 ეგ იფარავს

მართალსა და ცოდვილს,  
 წერტილს უსვამს  
 სახვალის ლოდინს!  
 ლეგენდებში  
 ჩაბუდებულ ფრინველს —  
 ნიპონელთა  
 იმედს, გულთამხილველს,  
 ფრინველებში  
 თვით არწივზე პირველს,  
 სხვათა შორის  
 რომ ვეძახით წეროს —  
 ნიპონელთა  
 ჰქვია ბედისწერა!

\* ნიპონი — იაპონია



ვლადიმერ გარიაშვილი

მხატვარი

იოსებ სახსონაძე

# ასტრონომია

ფანტასტიკური მოთხრობა

ვარსკვლავმფრენი „აგნი“ მეტა-გალაქტიკის უშორესი დასახლებული პლანეტისაკენ მიემართებოდა. ტრაექტორია თითქოს ზუსტად იყო გამოთვლილი, მაგრამ ზედ შუა გზაზე გიგანტურ გალაქტიკას გადააწყდნენ. მის შემადგენლობაში ხუთასზე მეტი დიდ-პატარა გალაქტიკა შედიოდა. კატასტროფა მოხდა მაშინ, როცა ადამიანები ყველაზე ნაკლებად ელოდნენ — უკვე პერიფერიულ რაიონში იყვნენ გასულები.

...ზეახლის ანთება ვარსკვლავის აგონია, ევოლუციის ბოლო სტადია. ხოლო მისი შედეგი — თეთრი ჭუჭა — ვარსკვლავის სიკვდილს ნიშნავს. ანთება ვარსკვლავის ბოლო, რამდენიმე ათეულათასგრადუსიანი ამოსუნთქვაა, რომლის შემდეგ საბოლოოდ იხშობა მისი ფილტვები. გულის ერთხანს კიდევ ძვერს, მაგრამ სულ უფრო და უფრო სუსტად, ვიდრე ისიც არ გაჩერდება. ამ ბოლო ამოსუნთქვის წინასწარმეტყველება და, მით უმეტეს, მისგან თავის დაცვა კაცობრიობას ჭერჭერობით არ შეუძლია.

როდესაც ილუმინატორებში შავი ცოსმოსის ნაცვლად დღის სინათლე შემოიჭრა, საკონტროლო პანელის დიდ ეკრანზე კი ერთ-ერთმა რიგითმა ვარსკვლავმა საპაურო ბუშტივით იწყო გაბერვა, ხომალდის მეთაური მყისვე მიხვდა, რაც ხდებოდა. მაგრამ ადამიანის რეაქციას, თუნ-

დაც კარგად ნავარჯიშევსაც, თავისი ზღვარი აქვს. სანამ ინფორმაცია ვარსკვლავიდან (სინათლის სიჩქარით) პილოტის თვალებამდე მოვიდა, სანამ ნერვული იმპულსი თვალებიდან — ტვინს, იქიდან კი — კუნთებს გადაეცა, რამდენიმე წამი გავიდა, და როცა მეთაურმა სამართავი პანელისკენ ხელი გაიწვდინა, მოსახდენი უკვე მომხდარიყო...

საბორტო კომპიუტერი ადამიანის ნერვულ იმპულსებზე სწრაფი აღმოჩნდა: მან გაცილებით უფრო ადრე „იგრძნო“ ხიფათის მოახლოება, ილუმინატორების სარქველები დახურა და ხომალდს გეზი უცვალა. ვარსკვლავმფრენის სიჩქარე ანთებულ ვარსკვლავიდან გამოტყორცნილი ნივთიერების სიჩქარეზე მეტი იყო და ამან გადაარჩინა ეკიპაჟი. მაგრამ ტრაექტორიის შეცვლა, ინერციის კანონების თანახმად, მყისიერად შეუძლებელია, ამიტომ ზეახლის ცხელი სუნთქვა მაინც მისწვდა ხომალდს წამიერად...

სამეთაურო ნაკვეთურში ეკრანი ჩაქრა, ასტროეპოლოტი დადუმდა — ხომალდი დაბრმავდა და დაყრუვდა. საბედნიეროდ, ძრავები კვლავინდებურად გამართულად მუშაობდნენ, არც ხომალდის სასიცოცხლო პირობები დარღვეულიყო.

კაბინაში აღელვებული ასტრონომი შემოიჭრა:

— ოპტიკური და რადიოტელესკოპები მწყობრიდან გამოვიდნენ!

ხომალდის მეთაური სპეცკავშირის დილაკს დააწვა და მისი ხმა ყველა კაიუტასა და ნაკვეთურს მისწვდა:

— ყველას, ყველას! ლაპარაკობს ხომალდის მეთაური! ათი წუთის შემდეგ შეკრება მიბრძანდება! ვიმეორებ...

მალე ვახტისაგან თავისუფალი ეკიპაჟის ნაწილი დიდ დარბაზში შეიკრიბა. ყველას თვალი და ყური ექსპედიციის უფროსისა და ხომალდის მეთაურისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— ჩვენ უიშვიათესი შემთხვევის — ზეახლის ანთების მოწმენი ვართ. ხომალდი კომპიუტერმა გადაარჩინა, — მეთაურმა მუჭში ჩაახველა. —

ჰერმეტიულობა არ დარღვეულა, ასე რომ, ხომალდის შიგნით არაფერი გვემუქრება. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა ხდება გარეთ. წინასწარი მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზეახლის ტემპერატურამ გააძნო ანტენები და გარე სამყაროსაგან იზოლირებული აღმოვჩნდით. და, რაც ყველაზე უფრო სახიფათოა, ხომალდს აღარ იცავს ძალური ველი. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია კორპუსი, რა სიღრმეზეა იგი გამდნარი და მომავალში უნდა ველოდოთ თუ არა რაიმე გართულებებს. მდგომარეობა მძიმეა, — ხომალდის მეთაურმა ღრმად ამოისუნთქა, დარბაზს თვალი მოავლო. — მოკლედ, აუცილებელია კორპუსის



ზედაპირის გამოკვლევა და, რაც შეიძლება სწრაფად, ძალური ველის ანტენების აღდგენა. ეს — უპირველეს ყოვლისა...

— თუ კორპუსის ზედაპირი გამდნარია, — წამოდგა ხომალდის მთავარი ინჟინერი, — მაშინ ჯერ საჭირო იქნება შლიუზების ლიუკების გარემონტება, რომ ბრიგადებმა შეუფერხებლად შეძლონ კოსმოსში გასვლა.

ახლა ფიზიკოსი წამოდგა.

— კოსმოსში გასვლა დაუზვერავად არ შეიძლება. ჯერ არ ვიცით, რა სიურპრიზები მოგვიმზადა კიდევ ზეახალმა, მაგალითად — რადიოაქტიური გამოსხივება...

— ზეახალის გამოსხივება საშიში არ არის, — დაამშვიდა ხომალდის მეთაურმა, — ის სინათლის სიჩქარით ვრცელდება, ჩვენ კი...

— ეგ ხომ მეც ვიცი, — გაცხარდა ფიზიკოსი, — მაგრამ რადგან ვარსკვლავიერი ნივთიერება უკვე მოგაწვა და ნაწილობრივ კორპუსის გარსიც დააზიანა, რადიოაქტიური ელემენტები ლითონის სტრუქტურაში იქნება ჩანაცვლებული.

— რა მანძილზე ვართ ახლა ზეახალის აიროვანი ფრონტიდან? — იკითხა ექიმმა.

— ამის გამოთვლა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება: ობტიკური და რადიოტელესკოპების კორპუსის ზედა კომპლექტი მწყობრიდანაა გამოსული, საბორტო კომპიუტერიც დამუზღვებულია. ერთი სიტყვით...

დარბაზში მყოფებმა ერთმანეთს გადახედეს, ეკიპაჟში მღელვარება მატულობდა, ბევრი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.

ხელსაწყოებმა ვერავითარი გამოსხივება ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ კორპუსის სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მზვერავებმა შლიუზიდან კოსმოსში მხოლოდ ლაზერის დახმარებით შეძლეს გასვლა. კორპუსის ზედაპირი ერთ მთლიან ალუფხულ მასად ქცეულიყო, ზეახალის სუნთქვას რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე გაედნო გარსი. მოლურჯო-მომწვანო ფერებად ბზინავდა სტრუქ-

ტურაშეცვლილი, ერთ დროს სპილსძვლისფერი ლითონი. ყველა ლიუკი და სარქველი კორპუსს შედუღებოდა, ანტენებისა და გადამწოდების კვალიც არ ჩანდა. ტოტებშემოგლეჯილ, ნამეხარ მუხსასავით იდგა ვარსკვლამფრენის ცხვირზე ძალური ველის ანტენა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი აღდგენა იყო საჭირო.

ბრიგადები ყოველ ორ საათში იცვლებოდნენ. ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მთელმა ეკიპაჟმა მიიღო მონაწილეობა, განურჩევლად პროფესიისა და თანამდებობისა.

ყველაზე მეტი დრო კოსმოსში მთავარმა ინჟინერმა დაჰყო. და პირველიც ის გარდაიცვალა. მას მიჰყვნენ ბორტინჟინრები, პილოტები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, კიბერნეტიკოსები... სიკვდილი უცნაურად მოდიოდა: ადამიანს რამდენიმე წუთში უშრებოდა სისხლი. გადასხმაც არ შეელოდა, რადგან ძარღვები მაშინვე იკრავდნენ პირს და სითხეს აღარ ატარებდნენ. ყველაზე ნაკლები დრო კოსმოსში მთავარმა ექიმმა დაჰყო. მან ბიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი „წალკოტში“ გადაასვენა. მიწა მიაყარა და თავისთვის გათხრილ სამარეს მიუწვა გვერდით.

რობოტი ნიშს მოშორდა, დაიხარა, ექიმს ელექტროდები მოუფათურატანზე; მერე ფრთხილად ასწია, სამარეში ჩაუშვა, მიწა მიაყარა, თავის ნიშს დაუბრუნდა და გაირინდა.

ვარსკვლამფრენზე ბავშვებილა დაჩინნ...

მაგრამ არა, ბავშვები მთლად მარტო არ დარჩენილან — ფრენის პროგრამა ძველებურად მოქმედებდა, ვარსკვლამფრენი დასახული მიზნისაკენ ელექტრონიკას მიჰყავდა. პროგრამა ხომალდის შინაგანაწესის განუხრებლად შესრულებასაც ითვალისწინებდა. ავტომატები დაუღალავად მუშაობდნენ, — ბავშვებს 'არაფერი აკლდათ: კვება, სწავლა, გართობა, დასვენება, ძილი...

წლები გადიოდა.

რობოტები სწავლობდნენ ბავშ-

ვებს, მათ ხასიათს, სურვილებს, მიდრეკილებებს, მისწრაფებებს, ანტერესებს. იზრდებოდნენ, ახალბავშვები, ინჟინრები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მაგრამ კატასტროფამ მიინც დაამჩნია დალი ადამიანების ცხოვრებას. არავინ იცის, მაგალითად, როდის, რა მომენტში გადაიკეტა სასწავლო პროგრამის ერთი არხი: ზეახალის მაგნიტურმა ველმა თუ დააზიანა იგი.

აი, რა ხდებოდა:

პროგრამა ჩაატარებდა, ვთქვამთ, ფიზიკის გაკვეთილს. დგებოდა მომდევნო მეცადინეობის ჯერი. გაისმოდა ჩხაკუნი — „გადავიდეთ ისტორიაზე“, მაგრამ გავიდოდა სულ რაღაც ორიოდ წამი, აპარატი ისევ დაიჩხაკუნებდა და... „გადავიდეთ ქიმიასზე“. ასე რომ, პროგრამა თითქოს „გადაახტებოდა“ ისტორიას და პირდაპირ იწყებოდა ქიმიის გაკვეთილი. ეს მომენტი განსაკუთრებით ართობდა ბავშვებს. ვინმეს შეცდომა მოუვიდოდა და — „გადავიდა ისტორიაზე!“ ვინმე თამაშის წესებს დაარღვევდა და — „შენ რა, გადახვედი ისტორიაზე?..“ ჰოდა, ბავშვების მხიარული და უზრუნველი ხარხარი ჭერს ასკდებოდა ხოლმე. ბოლოს „გადავიდეთ ისტორიაზე“ პროგრამირების ერთ-ერთ შეცდომად მიიჩნიეს და ისტორია, როგორც საგანი, საერთოდ ამოვარდა სწავლების პროცესიდან.

გაწყდა კავშირი თაობებს შორის...

წლები კი გადიოდა.

ბავშვებს უკვე თავიანთი ბავშვები ეყოლათ. გაჩნდა ახალი ტრადიციები. მაგრამ ვარსკვლამფრენზე ორი რამ უცვლელი რჩებოდა: „გადავიდეთ ისტორიაზე“ და დამოკიდებულება ნიშში ატუზული რობოტისადმი. გაჭირვებულ პატარებს დედები აშინებდნენ: „დაიძინე, თორემ ახლავე მოვა „შავი რობი“, რქიანი და ჩლიქიანი, და წალკოტში წაგიყვანსო“. მაგრამ პატარებს ასე ადვილად ვერ მოატყუებ. მათ იცოდნენ, რომ „შავ რობის“ არც რქები ჰქონდა და არც ჩლიქები, მხოლოდ მიცვალებულს მისაგე-



ნებდა ხოლმე „წალკოტში“, მაგრამ მისი მაინც ეშინოდათ. ეს შიში თანდათანობით, თაობათა ცვლის კვალდაკვალ, სიძულვილში გადაიზარდა. ბოლოს პირქუში მესაფლავის დანახვაზე თმაგათეთრებული პროფესორებიც კი განზე იხედებოდნენ ხოლმე და „ფუი ეშმაკსო“, ჩურჩულებდნენ...

ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთი თვალეზბრიალა, შუბლმალაი კნაპა ბიჭი არ გაჩნდა.

პატარების ერთ ნაწილს „წალკოტში“ უფარდა თამაში. აქ რამდენიმე ასეული პლასტმასის კუბი იდგა, სწორ მწყრივებად ჩარიგებული. ამას დაუმატეთ ბორცვები, ხეები, ბუჩქები... მოკლედ, სათამაშოდ იდეალური გარემო ჰქონდათ. თამაშს რომ მორჩებოდნენ, მესაფლავე ჩამოივლიდა, კუბებს შეასწორებდა, მტვერს გადასწმენდა, ყვავილებს წყალს დაუსხამდა. ხანდახან ონავრები კუბებს ადგილებს შეუცვლიდნენ და შემდეგ მოფარებულნი უთვა-

ლთვალდებდნენ „შავ რობის“. „რკინასა და ჩლიქიანს“ არასოდეს არაფერი ეშლებოდა, კუბებს თავ-თავის ადგილს მიუჩენდა და ნიშში ბრუნდებოდა.

კუბებზე სახელი, გვარი, სპეციალობა და ორი თარიღი ეწერა. თვალეზბრიალა ბიჭმა შეამჩნია, რომ შუა ორ რიგში ბოლო რიცხვები ერთნაირი იყო. რატომ?! (აქვე გეტყვით, რომ „რატომ“ მისი მეორე „მე“ გახლდათ — ბიჭი კი არა, ცოცხალი კითხვის ნიშანი იყო).

— რატომ არის ბოლო რიცხვები ერთნაირი? — იკითხავდა.

— იმიტომ, რომ ერთად დაიღუპნენ, — იღებდა პასუხს.

— რისგან?

— რალაც უცნობი გამოსხივებისგან.

— საიდან გამოხტა ის უცნობი გამოსხივება?

— ზეახალიდან.

— როდის?

— ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბიჭს არც ასეთი სიშორე აბნევდა:

— რა იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე?..

ფსიქორობოტმა ბავშვს, ცხელი თარი ფსიქიკური მოშლილობა ვერ აღმოუჩინა, მაგრამ მშობლები მაინც შეშფოთებულები იყვნენ: ბავშვი ისეთ შეკითხვებს იძლეოდა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობდა, რადგან ის პასუხი თვით საბოროტო კომპიუტერმაც კი არ იცოდა! მართლაც, ხომ არსებობს კითხვები, რომლებზეც შეუძლებელია პასუხის გაცემა?!

— ჩვენ ვიცით ჩვენი მისია — მარშრუტის ბოლო პუნქტი, — დაუინებით უმეორებდა დედა თუ მამა. — ვიცით, როგორ უნდა მივალწიოთ მას. მაგრამ არსებობს კითხვები, რომლებზედაც შეუძლებელია პასუხის გაცემა, მაგალითად: როგორ და რატომ ან რისთვის შეიქმნა სამყარო? რამ შექმნა ადამიანი, სად და რისთვის? როგორ შეიქმნა „აგნი“, ვინ შექმნა და ა. შ. ან კი რა საჭიროა ამის ცოდნა?!

— რატომ? რატომ არაა საჭირო? დედა თუ მამა ამოიხრებდა:





— გაიზრდები, ისწავლი და შენ თვითონ სინჯე ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

— აი, როზი ამბობს...

— რომელი როზი?!

— მმ... წალკოტის...

— უი, მომიკვდეს თავი! — დედამ ლოყა ჩამოიხოკა. — რა გაქვს, ბიჭო საერთო იმ ჭუჭყიან ჯართთან?!

— საიდან წარმოვიშვით ჩვენ?

— ისევ დაიწყე? ჩვენ, ყველანი, ხომალდზე დავიბადეთ.

— ჩვენი... თქვენი მშობლები? აი, წალკოტში რომ...

— ისინიც.

— მათი მშობლები? რა არის, საერთოდ, ადამიანი?

— ადამიანი შედგება...

— ეგ ვიცი, რისგან შედგება. მე მაინტერესებს, სად გაჩნდა, როგორ, რატომ?

— არ ვიცი, შვილო, რას მეკითხები, — დედას უილაჯობისაგან ცრემლები მოერიდა. — სკოლის ზარია, წადი და ისწავლე...

...„გადავიდეთ ისტორიაზე“. ჩხაკ... ხა-ხა-ხა-ხა! ჩხაკ, „გადავიდეთ ქიმიაზე!“ — ყველაფერი ერთხელ დადგენილი წესით მიდიოდა.

— მაგრამ რატომ?

ექებდა შუბლმადალი კნაჭა. ძიებამ „შავ როზისთან“ მიიყვანა. ჯერ სხვებივით სძულდა და ეშინოდა მისი. მერე მხოლოდ ეშინოდა. მერე... შიში გაურკვეველობამ იცის, გაურკვეველობა შეცნობის წყურვილს ბადებს. შიში იანუსივითაა, მას მეორე სახეც აქვს და ამ სახეს ცნობისმოყვარეობა ჰქვია. სწორედ მათ შორის მდებარეობს ეს აკვიატებული კითხვა „რატომ?“

აედევნებოდა „ჭუჭყიან ჯართს“, უყურებდა, როგორ უვლიდა ბორცვებს. ერთხელაც ვაბედა, ნაჭერი გამოართვა და თვითონ გადაწმინდა კუბები. როზის არც უკბენია და არც ურჩენია. მან დიდი ხანია შეამჩნია შუბლმადალი ჭინკა ბიჭი, იგი სხვებს არ ჰგავდა. ნაჭერი მისცა, ერთად ჩამოიარეს რიგები. ერთგან ბიჭმა ხის გადატეხილი ტოტი შეამჩნია, ნაჭერი ჩახია და ხეს საგულდაგულ-

ოდ აუხვია დაჭრილი „კიდური“. მერე უცებ შეცბა, ნაჭრის დახვეისათვის ხომ არ გამიწყრებაო, შიშით ახედა. როზიმ ნაჭერი მოხსნა ტოტს, რალაც წებოვანი სითხე მოუსვა გადანატეხზე და ისევ აუხვია. ბიჭმა გაიცინა და ხელი გაუშვირა: მაჩვენეო. როზიმ ტუბი აჩვენა — ზედმწვანე ფოთოლი ეხატა — თან ჩაიდუღუნა: „ოღონდ ხელი არ მოისვარო, ძნელად ეცლება“. ბავშვებმა მალე შენიშნეს მათი დაახლოება. უკან დასდევდნენ, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდნენ. როგორც კი როზი მათკენ შემობრუნდებოდა, დამფრთხალი ტოროლებივით შეიფრთქილებდნენ და გარბოდნენ, მაგრამ ეს უფრო ტრადიციის ზეგავლენით ხდებოდა. შიში თანდათან მათაც უქრებოდათ. რაკი „დღისით“ როზისთან მარტო ვერ რჩებოდა, ბიჭმა სინათლის გამორთვის შემდეგ მოუხშირა მასთან სიარულს, მაშინ, როცა სხვებს ეძინათ.

— საიდან წარმოვიშვით ჩვენ?

— თქვენ, ყველანი, ამ ხომალდზე იშვით.

— ჩვენი მშობლები?

— ისინიც.

— წალკოტში, შუა რიგში რომ არიან დაკრძალულნი, ისინიც?

— ისინიც.

ბიჭი ჩაფიქრდა.

— შენ?

— მე არ დავბადებულვარ. იბადება მხოლოდ ადამიანი, რობოტი კი იქმნება. მე ადამიანებმა შემქმნეს დედამიწაზე.

— დედამიწაზე? — ეს რალაც ახალი სიტყვა იყო, აქამდე გაუგონარი, გაუგებარი, მაგრამ რატომღაც თბილი და რბილი. — რა არის დედამიწა? სად არის დედამიწა? ვინ არიან დედამიწის ადამიანები?

— შენი წინაპრები.

კიდევ ახალი სიტყვა! რალაც უსაშველოდ გრძელი, უსაშველოდ ძველი, უსაშველოდ ღრმა... ბიჭს გული დაუწურა ამ სიტყვამ, დიდრონი თვალები ერთიორად გაუდიდდა, საფეთქელზე ძარღვმა იწყო ძალუმიდ ფეთქვა.

— ვინ არიან წინაპრები?  
— წინაპრები არიან ისინი, ვინც „აგნი“ შექმნა, ვინც ჩვენს გვგზავნა. ისინი დედამიწაზე დარჩნენ, ჩვენს სამშობლოში.  
— სამშობლოში... — ეს სიტყვა





ხვედრით იყო, რბილი ბუსუსები ჰქონდა, შეგეძლო, შიგ თავით ფეხებამდე გახვეულიყავი; საამური სუნი უდიოდა. — სამშობლოში?

— ბიჭო, შენ სკოლაში არ სწავლობ? მეგონა, ყველაზე ჰკვიანი იყავი, ამდენს რას მეკითხები?! წადი და ისტორია ისწავლე, როგორც წესია! — რობი გაბრაზდა, ზარმაც ბავშვებს ვერ იტანდა. — მაშინ ყველაფერს შეიტყობ.

— შენც დამცინი?! რა არის ისტორია? ჩხაკ! „გადავიდეთ ქიმიანზე“, აი, მთელი შენი ისტორია!

რობოტი დაიხარა, მერე მუხლებზე დაეშვა, ბავშვს სახეში შეაცქერდა.

ბიჭს მალალ შუბლზე ღარები გასჩენოდა, მისი ცრემლიანი თვალებიდან მთელი სამყაროს გონიერება იყურებოდა...

ვანტზეც კი არ დარჩენილა არავინ — აუდიტორიაში შეიკრიბა ყველა. თანდათანობით სწორდებოდნენ მხრებში, სუსხიან თვალებში მზის სითბო ეღვრებოდათ, გლუვ მარმარილოსავით გადალესილ შუბლზე ღრმა ნაოჭები უჩნდებოდათ — აღამიანებად იქცეოდნენ.

მართვის ცენტრში განგაში გამოცხადდა. დიდი ხანია, რაც დედამიწელთა ექსპედიციას ელიან, და აჰა... მაგრამ ნუთუ ხომალდზე აღარავინ დარჩა ცოცხალი?

— ყურადღება, ყურადღება! გვიახლოვდება უმართავი ვარსკვლამფრენი! მოამზადეთ მაგნიტური დამჭერები! გადაიყვანეთ სტაციონარულ ორბიტაზე!

ცენტრის უფროსი ეკრანს მიეყინა მზერით. უჩვეულო კონტურებიანი ხომალდი სიჩქარეს უკლებდა. ჰიპერბოლური ორბიტიდან იგი თანდათანობით სტაციონარულ ორბიტაზე გადაიყვანეს. ცენტრის უფროსმა შვებით ამოისუნთქა — ვარსკვლამფრენს აღარაფერი ემუქრებოდა.

— ცენტრი, მთავარი სადისპეტჩერიო! უცნობ ხომალდს ძლიერი გა-

მოსხივება აქვს. იქნებ თანამგზავრზე გაგვეშვა...

— ჩაუტარეთ დეზინფექცია და პლანეტაზე დასვით, მთავარ კოსმოდრომზე. ბოლოს და ბოლოს, სტუმრები არიან. ამდენი ხანია ველოდებით.

— გასაგებია.

— ან გამოსხივებამ იმსხვერპლა ყველა, ან სულაც ავტომატური სადგურია, — გადაულაპარაკა ცენტრის უფროსმა ლინგვისტს.

— არა მგონია. ავტომატური სადგური ამ სიშორეს ვერ მიაღწევდა. მაგრამ პირველი ვარიანტი უფრო არასასურველია. ამდენი ლოდინი, მილიონი სინათლის წელიწადი და... მარტო იმისათვის, რომ მაგნიტური კასეტები და ჰოლოგრაფები მოიტანოს?..

— და მიცვალებულებით სავსე სკივრები... — დაამთავრა ლინგვისტის აზრი ბიოლოგმა ნაღვლიანი ხმით.

— ცენტრს, მთავარ სადისპეტჩეროს ვუხმობ! ხაზზეა ხომალდის საბორტო კომპიუტერი! ვრთავთ პირდაპირ კავშირს!

მართვის ცენტრის მთავარ საოპერატოროში ნემსი არ ჩავარდებოდა, მაგრამ ბუზის ფრენის ხმას გაიგონებდით.

„...პროგრამის ხარვეზი მესაფლავე-რობოტმა აღმოაჩინა... თურმე ზეახალთან გავლისას სასწავლო პროგრამაში ისტორიის არხი გადაკეტილა... ეკიბაჟი დანაკარგს ინაზღაურებს...“

კოსმოდრომის ბეტონზე რბილად დაეშვა „აგნი“. ძრავებიდან გადმოვარდნილი ალი ნელ-ნელა დადნა, დაილია. გავარჯარებული ლითონი გაგრილდა. მთავარი ლიუჯი კი არ იღებოდა — არავინ აპირებდა გამოსვლას.

— რაღას ველოდებით?! წავიდეთ, მივეხმაროთ, ჩვენ გავალოთ, იქნებ... — ლინგვისტი წამოხტა, სახე აღეწოდა, აღელვებისაგან ერთნაირად ცახცახებდა.

ცენტრის უფროსმა რაცია გამოართო, სავარძელზე გადაწვა, თვალები დახუჭა.

— აცალეთ, ჯერ თავიანთი თავი იპოვონ!..



## შეხვედრები ბილქსტიონს

ერთხელ გალაკტიონს პუშკინის ქუჩაზე წამოვეწიე. იმ ხანებში ყურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი ლექსების ციკლი, მიძღვნილი აკაკი წერეთელისადმი. ვუთხარი: გამიხარდა, აკაკის რომ ასე დიდად აფასებთ-მეთქი.

მან იმ ლექსებზე არაფერი თქვა, თვით აკაკიზე დაიწყო ლაპარაკი:

— აკაკი... აკაკი, ძამიკო, ჩვენ დიდი, დიდი პოეტია. მე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ქუთაისში აკაკისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე ლექსი წავიკითხე. კითხვა რომ დავამთავრე, აკაკიმ მოითხოვა, მასთან მივესულიყავი. მივედი. მითხრა: მომეწონა შენი ლექსის წაკითხვა, ძველი ქართველის ხმა მესმოდაო. — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, გალაკტიონის სახეზე დიდი კმაყოფილება იყო გამოხატული, გაგრძობინებდა: თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ბედნიერ წუთებზე ლაპარაკობდა.

გალაკტიონმა გენიალური პოეტის სახელი ადრევე მოიპოვა. მისი ლექსების გამოქვეყნება ყურნალ-გაზეთების რედაქციების მუშაკებს სასახლოდ მიაჩნდათ. ჩვენც, საბავშვო პრესაში მომუშავეებს, გვინდოდა გალაკტიონის ლექსები და გვებეჭდა. მაგრამ ის ხომ ბავშვებისათვის არ წერდა. ჰოდა, როგორ უნდა სთხოვო აღამიანს ის, რასაც არ აკეთებს. მაშინ „ოქტომბრელის“



რედაქტორი ვიყავი. როგორც იქნა, ვძლიე თავშეკავება და ერთხელ გალაქტიონს შინ ვესტუმრე. მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა.

— ძამიკო, რაზე შეწუხებულხარო?

— პატივცემულო გალაქტიონ, საბავშვო ყურნალისათვის იქნებ ლექსი დაგვიწეროთ.

ბავშვებისათვის არა ვწერ, ან არასოდეს დამიწერიაო, არ უთქვამს.

— დავწერ, — თქვა უყოყმანოდ. რა იოლად და კარგად დამთავრდა ეს ვიზიტი!

გახარებული წამოვედი იმით, რომ ჩვენთან დიდი გალაქტიონის ლექსი დაიბეჭდებოდა.

დათქმულ დღეს მივაკითხე. ლექსი დაწერილი ჰქონდა. იქვე წავიკითხე.

— გამოდგება? — შემეკითხა.  
— კარგია, დიდებულია, — ვუბალსუხე გახარებულმა.

ლექსი „სიხარულით გავალ ხალხში“, რა თქმა უნდა, გალაქტიონისებურად იყო დაწერილი, მის ხელმოუწერლადაც რომ წაგეკითხა, მიხვდებოდი, რომ გალაქტიონისა იყო. აი, ის ლექსიც:

ამოვიდა თუ არა მთით  
დიდებული მნათი —  
ფანჯარასთან მსწრაფლ მიიჭრა  
მხიარული რატი.

და შესძახა: „აწი ვერ მძლევს  
შენი სუნთქვა ავი,  
სიზარმაცევი, სიზარმაცევი!

დამანებე თავი!“  
დღეს გათენდა ოქტომბერის  
ოცდასამი წელი,  
სიხარულით გავალ ხალხში,  
როგორც ოქტომბრელი.

სიხარულით აივსება  
გზა — სიმღერად მრხვევი.  
დედა! მომეც ჩემი დოლი,  
ჩემი ყელსახვევი!

და ტოლებში გადაეშვა  
მხიარული რატი.  
დღეა ლალი, დღეა ვრცელი,  
დღეა იშვიათი.

ამ ლექსით გაიხსნა 1940 წლის ყურნალ „ოქტომბრელის“ მეთერთმეტე ნომერი.



**ბუმბათყვეთ**

მრავალ შენობაში, უფრო ცირკს რომ წააგავს, ცელულოზა-ქაღალდის კომბინატია მოთავსებული. შენობას, რომელიც კარგი თბიზოლაციური თვისებების მქონე მსუბუქი ბეტონისაგანაა აგებული, ზამთრობით იმიერპოლარეთშიც კი არ სჭირდება გათბობა, რადგან სამრეწველო დანადგარების



მიერ გამოყოფილი სითბო თითქმის არ იკარგება. კომბინატის ციცაბო კედლები, ამავე დროს, სახურავიცაა და მასზე თოვლი საერთოდ ვერ იკიდებს ფეხს.

**რადიოგადამცემიანი... ბუზი**

კალიფორნიელმა (აშშ) ინჟინერმა ჯ. ირვინგმა ააწყო მინიატურული რადიოგადამცემი, რომლის ტარებაც თავისუფლად შეუძლია ჩვეულებრივ ბუზს. იგი განუწყვეტილად მუშაობს 8 საათის განმავლობაში და ძალზე დაეხმარება ენტომოლოგებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მწერების ცხოვრებას აკვირდებიან.

**ცხოველია თუ მცენარე?**

ანტარქტიკის ერთ-ერთ ტბაში ავსტრალიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს უნიკალური არსება. მისი ზომა თხუთმეტმეტასედი მილიმეტრია. ყველაზე უფრო საოცარი ის არის, რომ ამ არსებას არ სჭირდება ჟანგბადი. მისი საცხოვრებელი გარემოა ოცსანტიმეტრიანი სასაზღვრო ზონა, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს წყლის ორ სავსებით განსხვავებულ ფენას. ზედა ფენა შეიცავს ჟანგბადსა და მცირეოდენ მარტივებს, ქვედაში კი ჟანგბადი არ არის, სამაგიეროდ ბევრია ამიაკი და გო-

გირდუნაბადი. ამ საოცარ ორგანიზმს ეძღვნა დღევანდელი თავისებურება აქვეყნებული სტატია. ხოვრებელ გარემოში იგი დაფარულია ბაქტერიითა გარსით. ეტუობა, საქმე გვაქვს სიმბიოზთან (ცოცხალი ორგანიზმების თანაცხოვრებასთან), ბაქტერიები დამცვე ფარს წარმოადგენენ, თავად კი მათთვის ტრანსპორტის მაგივრობას სწევს. ეს უცნაური არსება ორი შოლტისებური წანაზარდით მოძრაობს.

**რა ხდება წიაღში?**

პრალის გეოფიზიკურ ინსტიტუტში შექმნილი მოწყობილობა საშუალებას იძლევა „დავინახოთ“, რა ხდება მიწის სიღრმეში. ეს არის ბაროკამერა, რომელშიც შეიძლება ვარგეულიროთ წიაღის ნებისმიერი სიღრმის შესაბამისი წნევა და ტემპერატურა. ბაროკამერაში მოთავსებულ ქანთა ნიმუშების მდგომარეობით შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რა ფიზიკური თვისებები აქვს სხვადასხვა სიღრმეზე განლაგებულ ამა თუ იმ ქანს, რა მოსდით მათ ბურღვისას ან აფეთქებისას და არის თუ არა მოხალოდენი ჩაქცევა თუ მიწისძვრა.

**ახალი ბორბალი**

ბორბალი, რომელსაც ნახაზზე ხედავთ, იტალიელმა ინჟინერმა ვ. მარაჩინიმ გამოიგონა. იგი შედგება სფეროს, ოთხი ჩვეულებრივი ბორბლისა და ამდენივე კბილანისაგან, რომლებიც ცენტრალურ კბილათვალს არიან მოდებული. ახალ ბორბალს შეუძლია



იმოძრაოს ყველა მიმართულებით ისე, რომ მოხვევა არ სჭირდება; გარდა ამისა, ციცაბო აღმართზე ადის თუ თოვლქვეშ ეშვება, იგი ყოველთვის ვერტიკალურ მდგომარეობას ინარჩუნებს და გამავლობის უნარიც გაცილებით მაღალი აქვს.



# ჩემი აზრები

## 3. ოსაჯვა

მხატვარი  
ზ. დინსაძე  
მ. ო. ხ. რ. ბ. ა.



ვითა სამეხსიანო და ოთხეზზე სწავლობდა და, როცა თანაკლასელები ეუბნებოდნენ, ნუ ზარმაცობო, და დახმარებასაც სთავაზობდნენ, ასე იგერიებდა მათ: „მე ოროსანი არა ვარ, კლასს არ ვარცხვენ და, თანაც, გაკვეთილების მომზადებას მარტო ჩემებურად ვარ მიჩვეული“.

გაკვეთილების მომზადების მისეზური წესი უბრალო იყო: ვითა სწრაფად გადაფურცლავდა ხოლმე სახელმძღვანელოს, თვალს გადაავლებდა და მერე სასეირნოდ გარბოდა, გასეირნების შემდეგ კი, როცა ძილი თავს ართმევდა, დაჯდებოდა და ამოცანების ამოხსნას იწყებდა.

ეზოში, პირველი სართულის ფანჯრების წინ, ყოველთვის ისეთი ყრბამული იდგა, რომ სახლში გაკვეთილების მომზადებას ვითა გულს ვერ უდებდა, მეგობრებთან ერთად ბურთს დასდევდა, თამაშობდა „თვალზეტუობანას“ ან რომელიმე ბიჭს კინოში ნანახი ილეთებით ეჭიდავებოდა.

ერთხელაც, როდესაც ვითამ მეგობრებთან ერთად ხმაურიანი თამაშში წამოიწყო, პირველი სართულის ერთ-ერთი ფანჯრის სარკმელი მიხურეს... უფარდო ფანჯარაში ვითამ ბიჭი დაინახა. ბიჭი დაახლოებით ვითას ტოლი იქნებოდა. იგი ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, მაგიდას მიუჯდა, გაშალა წიგნი და კითხვა დაიწყო. წიგნი სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო — ბიჭი მეცადინეობდა, იგი შუბლს იკმუხნიდა, ხშირ თმას აწვალავდა და ტუჩებს აცმაცუნებდა.

გაკრიალეზულ ფანჯრებში მთელი ოთახი ჩანდა — წიგნის თაროები,

კედელზე გაკრული გეოგრაფიული რუკა და ვიწრო საწოლი.

— ბავშვებო!.. წავიდეთ აქედან! აქ ხმაური არ შეიძლება, აქ აღამიანები მეცადინეობენ! — თქვა უცნობი ბიჭის მდგომარეობაში შესულმა ვითამ.

„ალბათ ძნელი გაკვეთილები აქვს სასწავლი“. — გაიფიქრა თავისთვის.

მეორედ ვითამ უნებლიეთ ფანჯარას ბურთი მოახვედრა. ბიჭი წამოხტა, ფანჯრის მინას მიეკრა და ცნობის-მოყვარედ გადმოიხედა ეზოში. მაშინ ვითამ სხვადასხვა ფოკუსების გაკეთება და ჭიდაობა წამოიწყო, ძალიან უნდოდა ეჩვენებინა ბიჭისათვის, რომ იგი „ცნობილი“ მოკრივეა, ისეთი, ყველას რომ ამარცხებს.

მაგრამ გაცხარებული ჭიდაობის დროს უცებ თავი ასწია და დაინახა, რომ ბიჭი უკვე მოსცილებია ფანჯარას, რუკასთან დამდგარა, ავთალიერებს მას და ფანქრით ჩანაწერებს აკეთებს რვეულში.

ბრძოლისადმი ინტერესდაკარგულმა ვითამ ჭიდაობა შეწყვიტა, ბავშვებს გამოეყო და ფანჯარასთან მივიდა.

„საინტერესოა, რას სწავლობს?“

ბიჭს ახლა წიგნი ეჭირა ხელში და ვითამ იცნო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომლითაც თვითონაც სწავლობდა.

„მგონი, ეგეც მდინარე ვოლგას გადის!“

ვითა სახლში გაიქცა, გეოგრაფიის სახელმძღვანელო გადაშალა, რუკა წინ დაიდო და ფანჯარი გათალა. მერე რუკაზე იპოვნა ვოლგა, რვეულში ჩაიწერა ყველა მისი შენაკადი და ვოლგაზე გაშენებული ქა-

ლაქები. ალტაცებაში მოვიდა ქალაქ ულიანოვსკის, გმირ ქალაქ სტალინგრადის გაცნობით და დახმარებას წინ საკუთარი თავით კმაყოფილმა გაიფიქრა:

„რა კარგი ყოფილა ასე მეცადინეობა! ეშმაკია ის ბიჭი! ხან წიგნში ჩაიხედავს, ხან რუკას უყურებს, თან რვეულში ჩანაწერებს აკეთებს. ასე, რასაკვირველია, ყველაფერს დაიმახსოვრებს. ეშმაკია!“

ვითა უცნობი მოსწავლით დაინტერესდა. მას მოსწონდა იმის ცქერა, თუ დაფიქრებული ბიჭი როგორ შეიკმუხნიდა შუბლს, შეისწორებდა პიონერულ ყელსახვევს, დათვალიერებდა მელანში ამოსვრილ თითებს. ერთხელ ვითა ამ ბიჭს საციგურაო მოედანზე შეხვდა. ბიჭმა წინ ჩაუქროლა, იცნო და დაუყვირა:

— დამეწიე!

ასე გაიცნეს ერთმანეთი. ბიჭს ვადიკი ერქვა, სვერდლოვსკიდან იყო ჩამოსული და მეოთხე კლასში დასაჯდომად ემზადებოდა.

— კარგად სწავლობ? — დაინტერესდა ვადიკი.

— ისე, რა! სამეხსიანო და ოთხეზზე, — უღარდელად გაიცინა ვითამ.

ვადიკმა სრიალი შეანელა და ისე მკვეთრად შემობრუნდა მისკენ, რომ ციგურებმა ყინულზე შესამჩნევი კვალი დატოვეს.

— კი მაგრამ, სამეხსიანო რატომ? განა თქვენთან ასე მკაცრად წერენ ნიშნებს? — შეშფოთებულმა ჰკითხა მას.

ვითა გაწითლდა:

— რასაკვირველია, ხუთებს მკაცრად წერენ, მაგრამ მე მათ არ დავეძებ! მე ოთხეზიც მომწონს!

— მე კი ოთხეზი არ მომწონს. ხუთები მინდა, ჩემთვის სხვაგვარად არ შეიძლება. ყოველთვის ფრიადოსანი ვიყავი, პირველი კლასიდან... და უცებ ოთხეზზე ჩამოვიდე? იცი, რა, შენ ტყუილუბრალოდ იქცევი ასე! — აღელდა ვადიკი.

ვითას მოსწყინდა. ხედავთ, ბიჭს თურმე სხვაგვარად არ შეუძლია! სხვას კი შეუძლია?

— მე სახლში მივდივარ! — უცებ თქვა ვადიკმა. — წავიდეთ?





— დაწერე? — ჰკითხა ვიტამ. —  
რა გქონდა დასაწერად? თხზულება?

— არა. ეს გრამატიკიდანაა წესე-  
ბი. შენ რაღა გაქვს? — თავის მხრივ  
იკითხა ვადიკმა და რვეულზე ანიშნა.

— მე თხზულება მაქვს.

ვადიკმა ხელი გაუწოდა:

— აბა; მაჩვენე!

ვიტია ახტა, მაგრამ სარკმელს ვერ  
მისწვდა.

— აქეთ მოდი, კარისაკენ! გავა-  
ლებ! — დაფაცურდა ვადიკი.

ერთი წუთის შემდეგ ისინი ერთ-  
მანეთის პირისპირ ისხდნენ, ვადიკი  
ვიტიას რვეულს ფურცლავდა და სე-  
რიოზულად ამბობდა.

— აბა, შენ თვითონ თქვი: შენ  
რომ მასწავლებელი იყო და ასეთი  
ნაწერი ჩავაბარონ, რას დაუწერდი?  
მე — სამს! ჯერ ერთი, შეცდომებია,  
მეორეც — ჭუჭყიანი ნაწერია.

— ეს შავი ნაწერია, უნდა გადავა-  
თეთრო, სულელო! შენ რა, გეგონა,  
ასეთს ჩავაბარებდი?

— ჰო! თუ შავია, სხვა საქმეა. მე  
კი უცებ ვერ მივხვდი! — გაიცინა ვა-  
დიკმა. — ვიფიქრე: განა ამისთანა  
რვეულის მიტანა შეიძლება მასწავ-  
ლებლებთან! რა თქმა უნდა, სამიანს  
დაგიწერს!

„დაწერს“, — გაიფიქრა ვიტამ.  
მართლაც სხვა საგნებთან შედარებით  
ყველაზე ხშირად სამიანი ხომ სწო-  
რედ რუსულში ჰქონდა და ხმამალ-  
ლა ჰკითხა ვადიკს.

— შენი აზრით, სად არის შეცდო-  
მა?

— აი, აქ ერთი სიტყვა — „სრი-  
ლი“ რბილ ნიშანს მოითხოვს, შენ კი  
არა გაქვს. მეც მეშლება ხოლმე, ვე-  
რაფრით ვერ ვისწავლე, — გულწრ-  
ფელად აღიარა ვადიკმა.

როდესაც ვიტამ წასვლა დააპირა,  
მოულოდნელად ვადიკმა სთხოვა:

— იცი, რა, მოდი, შენი გაკვეთი-  
ლები ერთად მოვამზადოთ! მეც ხომ  
უნდა წავიდე მეოთხე კლასში და ასე  
უკეთ მეცოდინება, რას ვადიან, თო-  
რემ მე პირდაპირ წიგნის მიხედვით  
ვსწავლობ და ასე შეიძლება ჩამოვ-  
რჩე კიდევ.

— შენ როდის მიდიხარ სკოლაში?

— მალე. დედა როგორც კი ჩამო-  
ვა, სწავლასაც დაიწყებ. იქამდე კი  
მოდი ხოლმე ჩემთან, კარგი?

— კარგი, — სიამოვნებით უთხრა  
ვიტამ, იგრძნო, რომ ახალ ამხანაგს  
დახმარება სჭირდებოდა.

მეორე დღეს მათ გაკვეთილები  
ერთად მოამზადეს.

— ჯერ მე მოგიყვები და მერე  
შენ მომიყევი. შევეთანხმდით? —  
ეუბნებოდა ვადიკი.

რამდენიმე დღის შემდეგ ვიტამ  
პირველი ხუთიანი მიიღო. გაურბინა  
თუ არა განათებულ ფანჯარას, ახტა  
და დააკაკუნა:

— ვადიკ! ხუთი! ჩვენ — ხუთი!

— რომელში?

— რუსულში!

გახარებულმა ვადიკმა თავი გადა-  
ქრია.

— მალე მოდი. დღეს მათემატიკა-  
ში უნდა დავეწიოთ და ხვალ არით-  
მეტიკაში მივიღებთ ხუთიანს! — გას-  
ძახა სარკმელში. ვიტია სახლში გაიქ-  
ცა.

მეოთხედის ბოლოს კი იგი ბედ-  
ნიერი ღიმილით ამხანაგებს უხსნი-  
და:

— ეს ხუთიანები მარტო ჩემი არ  
გეგონოთ! მე და ვადიკი ერთად ვმე-  
ცადინებოდით... ხვალ თქვენც ნა-  
ხავთ... ვადიკი, ჩემი ამხანაგი, ხვალ  
მოვა!...

თარგმნა ეთერ თოხაძემ



— არა, მე კიდევ ვისრიალებ, —  
უპასუხა ვიტამ.

ვადიკი წავიდა.

საცივტურაო მოედნიდან დაბრუნე-  
ბულმა ვიტამ უნებლიეთ შეიხედა  
ქვედა სართულის ფანჯარაში. ვადიკი  
რაღაცას წერდა.

„საინტერესოა, — გაიფიქრა ვი-  
ტამ. — ვინ აძლევს დავალებებს,  
იქნებ მაგასაც თხზულება აქვს დასა-  
წერი? ერთი შეხედვით — წვალობს,  
ფიქრობს...“


ვადიკი ნერვიულად ამოძრავებდა  
წარბებს, დაწერდა და ისევ წაშლი-  
და. მერე დაწერილი სულ დახია, თა-  
ვი ხელებში ჩარგო და რამდენიმე  
წუთი ასე უმოქმედოდ იყო. შემდეგ  
კი სუფთა ქაღალდი აიღო და თავი-  
დან დაიწყო წერა.

„რაღაცა არ გამოსდის“, — ძვე-  
ლებური სიმპათიით გაიფიქრა ვიტა-  
მ და სახლისაკენ წავიდა. სახლში  
მისვლისთანავე დაჯდა გაკვეთილე-  
ბის მოსამზადებლად. დაწერა თხზუ-  
ლება და ისეთმა გრძნობამ შეიპყრო,  
თითქოს რაღაცით აჯობა ახალ ამხა-  
ნაგს, რვეული აიღო და ეზოში გამო-  
ვიდა. ვადიკს, ეტყობა, ის-ის იყო, და-  
ემთავრებინა გაკვეთილების მომზა-  
დება და ფანჯარასთან იდგა. ვიტამ  
თითით დაუკაკუნა ფანჯრის მინაზე.  
ვადიკი სასწრაფოდ აძვრა ფანჯრის  
რაფაზე და სარკმელი გამოაღო.





# თუ ფოტოსაჭაა კაინტეკონსტრუქციის



თი საცობებით. უკეთესია, რეზინის ან პოლიეთილენის საცობები იხმაროთ. კაინტეკონსტრუქციის დასაყენებელი ჩარჩო უნდა იყოს 24 X 80 სმ ზომისა. დაახლოებით ამავე ზომისა უნდა იყოს 3-4 ფოტოაბაზანაც. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფოტოლაბორატორიაში აუცილებლად უნდა იყოს სითბეებისათვის განკუთვნილი ტფ-მ ტიპის თერმომეტრი. საქმე იმაშია, რომ გამოსახულების ხარისხი და ფოტომასალების დამუშავების ხანგრძლივობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია ხსნარისა და გასავლებად საჭირო წყლის ტემპერატურა. აუცილებელია აგრეთვე წამების

მეორე საუბარი შესხენებით უნდა დავიწყოთ — ყველაზე სრულყოფილი ფოტოაპარატიც კი თავისით ვერ გადაიდებს კარგ სურათს. ფოტოსაქმე მოითხოვს შრომას, გულმოდგინებას, მოთმინებას.

ვიგულისხმობთ, რომ თქვენ უკვე შეიძინეთ აპარატი და ერთი სული გაქვთ, გადალუბას შეუდგეთ. ნუ აჩქარდებით, გირჩევთ, გადალუბების დაწყებამდე ყურადღებით გაეცნოთ თქვენი ფოტოაპარატის აღწერილობას და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდეთ ხელი კასეტებისა და აპარატის დატენას. კასეტის დასატენად განათებული ფოტოფირის პატარა ბოლო გამოიყენეთ, ჩადეთ იგი კასეტაში ჭერ სინათლეზე, მერე კი სინელეში. ეცადეთ, რომ ამ დროს ფირის ემულსიურ ფენას არ შეეხოთ. ამის შემდეგ შეგიძლიათ ფოტოაპარატიც დატენოთ. აპარატის აღწერილობის გაცნობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ ადგილებს, სადაც საუბარი იქნება აპარატის გადალუბების მომზადების თანამიმდევრობაზე. ფოტომოყვარულმა უნდა იცოდეს, რომ დიაფრაგმას და დაყოვნებას სხვადასხვა ფოტოაპარატზე სხვადასხვანაირად აყენებენ.

უმჯობესია გადალუბა დიფუზით გარეთ და დღის ნათელ მონაკვეთში. ამასთან წინასწარ დაახლოებით მანძი უნდა განსაზღვროთ სინათლის სიძლიერე და აპარატიც, შესაბამისად, სათანადო მგრძნობიარობის ფირით უნდა დატენოთ. გირჩევთ, მზიან ამინდში ფოტოფირი „ფოტო-82“, ხოლო ღრუბლიან ამინდში — „ფოტო-65“ იხმაროთ. სტანდარტული კასეტა 88 სურათისთვის ნავარაუდევ მარაგს შეიცავს. გირჩევთ, თავდაპირველად 15-20 კადრი საცდელად გახარჯოთ. საცდელი გადალუბების ობიექტად აირჩიეთ მომცრო შენობა, ვერანა და ა. შ. ეს —

ობიექტს, რომ შეიძლება ობიექტის სხვადასხვა მხრიდან, სინათლის სხვადასხვა მიმართულების პირობებში და სხვადასხვა ამინდში გადალუბა. უკეთესია 7-10 მ მანძილზე გადაილოთ, ასეთ შემთხვევაში კადრიც მკაფიო გამოგივთ და ობიექტის ზედაპირის დეტალებიც და მასალის ფაქტურაც გარკვევით გამოჩნდება.

დაყოვნებისა და დიაფრაგმის შერჩევა ცხრილების ანდა ექსპონომეტრის მეშვეობით ხდება. ამასთან აუცილებელია სიუჟეტის დინამიურობის გათვალისწინება. კარგი იქნება, თუ სიუჟეტის შერჩევისას შეძლებთ წარმოიდგინოთ, როგორი იქნება იგი შავ-თეთრ ტონალობაში. სურათის გამომსახველობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მთ შორის გადალუბების წერტილისა და სინათლის მიმართულების შერჩევაზე. ყველაზე ხელსაყრელად ითვლება განათება ფოტოაპარატის მხრიდან. გადალუბების მიმართულების მიმართ დაახლოებით 45 გრადუსი კუთხით. გადალუბებისათვის ყველაზე შესაფერის დროდ ითვლება დრო, როცა მზე ზორიზონტის თავზე 45-60° კუთხითაა. ზაფხულში, დღის ნათელ მონაკვეთებში. სიუჟეტების უმეტესობის გადალუბა შეიძლება „ფოტო-82“ ფირზე, ზამთრობით კი გირჩევთ უპირატესობა „ფოტო-65“ და „ფოტო-180“ ფირებს მიანიჭოთ. თუ მოძრავ ობიექტებს იღებთ, გახსოვდეთ, რომ ამ დროს მთავარი პარამეტრი დაყოვნებაა, ხოლო უძრავი სიუჟეტების გადალუბისას — დიაფრაგმა.


ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყოთ ფოტოლაბორატორია. შუქისადმი მგრძნობიარე მასალებზე მუშაობისას სათავსო (ოთახი, სააბაზანო და ა. შ.) ამ ხნით მთლიანად უნდა იქნეს იზოლირებული გარეშე სინათლისაგან. ასეთ დროს ფანჯრებს შუქმუღწევადი ქაღალდით აბნელებენ. სათავსოში უნდა იყოს 1-2 როზეტი ლაბორატორიის ფარისი. ფოტოგამადიდებლისა და სხვა ხელსაწყოების ჩასართვლად. სასურველია, აქვე იყოს წყალგაყვანილობა და პირსაბანი ნიჟარა ფოტომასალების გასავლებად. შუქისადმი მგრძნობიარე მასალები და ქიმიკატები უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, ჩამოსაკიდ კარაღებში ანდა თაროებზე. აქვე შეგიძლიათ განალაგოთ ლაბორატორიის ჭურჭელი და სასწორი. აუცილებელია მაგიდა, რომელსაც გადაეფარება მუშაშემა ან სხვა წყალგაუმტარი გადასაფარებელი. მაგიდაზე დაიდგმება ფოტოგამადიდებელი, დროის რეულე ან საათი და 4-ნ მომცრო აბაზანა.

ლაბორატორიის ფარანი, როგორც წესი, იკიდება კედელზე, გამამუდავებელიანი აბაზანიდან სულ მცირე 1 მ მანძილზე, ამასთან, მისი შუქი არ უნდა ანათებდეს ფოტოგამადიდებლის ეკრანს, ხაერთოდ, ფარინისთვის იყენებენ წითელ, ნარინჯისფერ და მწვანე შუქფილტრებს.

აუცილებლად დაგჭირდებათ პატარა ფოტოაზი, უფრო მოსახერხებელია ფართობიანი და ფოტოფირისთვის საჭირო ერთსპირალიანი კოჭის მქონე, 850 მლ ტევადობის აზი.

ფირის კასეტაში ან ავზში ჩასადებად, ანდა ფირის გაწვევების შემთხვევაში ფოტოაპარატის დასაცლელად შეგიძლიათ ისარგებლოთ შავი, ტქმელი ნაჭრისგან შეკერილი ტომსიკით. ასეთ ტომსიკას ორი რეზინგაყრილი მაჯა უნდა ექნეს, ზომა — დაახლოებით 80 X 40 სმ. აუცილებლად უნდა იქონიოთ ორი მენზურა (0,5 მლ და 200-250 მლ). თუ მაღაზიაში მენზურები ვერ იშვებთ, შეგიძლიათ თვითონვე დაამზადოთ: ჩვეულებრივ ქილაზე სათანადო დანაყოფები აღნიშნეთ ან ზეთის საღებავით, ან ქილაზე დაწებებულ ლეიკოპლასტიკზე — კალმით.

ხსნარების შესანახად დაგჭირდებათ ფართოყელიანი ბოთლები ან კოლბები თავ-თავიან-



1. გამადიდებლის ეკრანი; 2. შტანგი; 3. გამანათებლის გარსაცმი; 4. ნათურა; 5. თბოფილტრი; 6. შუქფილტრების ჩარჩო; 7. მჭრქალი მინა; 8. კონდენსორი; 9. ნეგატივის ჩარჩო; 10. ობიექტივი.

ისიანი ანდა სპეციალური ფოტოსაათი. შეგიძლიათ შეიძინოთ ნებისმიერი მარკის ფოტოგამადიდებელი, ოღონდ გახსოვდეთ, რომ მისი კადრის ძირითადი ფორმატი უნდა ემთხვეოდეს თქვენი ფოტოაპარატის კადრის ფორმატს.



# საერთაშორისო საშაშის ოლიმპიადი

## საერთაშორისო (ასუჯრიანი)



საერთაშორისო საშაშა კარგა ხანია, აღიარება პაოვა. ხშირად ტარდება მსოფლიო, ევროპისა და სხვადასხვა ქვეყნის პირადი თუ გუნდური პირველობები.

1894 წელს ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. ჩემპიონი გახდა ფრანგი ი. პეისი.

1962 წელს საქართველოს პირველ ჩემპიონატში გაიმარჯვა თენგიზ ბარამიძემ (ფოთი).

გავეცნოთ თამაშის წესებს.

### შაშის დაშა



შაშის დაშა არის ოთხკუთხედი, რომელიც 100 ნათელი და მუქი ფერის, უფრო ზუსტად — 50 თეთრი და 50 შავი ფერის უჯრისაგან შედგება. დაფის ზედაპირი ძალიან არ უნდა ბრწყინავდეს. თამაში მიმდინარეობს მხოლოდ შავი ფერის უჯრებზე.

### შ ა შ ი

ოლიმპიადურ შეჯიბრებებში დაშვებული შაშის დიამეტრი 80-45 მმ უნდა იყოს, სიმაღლე — შაშის დიამეტრის 1/4-1/5.

თამაშის დაწყებამდე თითოეულ მოთამაშეს აქვს განსხვავებული ფერის 20 შაში, ერთს — თეთრი, მეორეს — შავი.

შაშები თითოეული მონაწილის მხრიდან 4 ჰორიზონტალურ რიგზე ეწყობა (როგორც ეს 1-ელ დიაგრამაზეა ნაჩვენები).



თვდაპირველად შაშები ასე განლაგდება (დიაგრამა 1): შაშები — 1, 2, 3, 4 და ასე 20-მდე; თეთრები — 81, 82, 83, 84 და ასე 50-მდე.


შაშით ან მარბილით („დაშა“) სვლა ჩაიწერება შემდეგნაირად: ჯერ აღვნიშნავთ მოედანს, რომელზედაც შაში იდგა, და გავუსვამთ ხაზს, შემდეგ კი მოვნიშნავთ მოედანს, რომელზედაც შაში დადგა. მაგ.: 1. 82-28. აღების (მოკვლის) შემთხვევაში ხაზის ნაცვლად დაისმება ორწერტილი.

კვლა შეიძლება როგორც წინ, ასევე უკან სვლით. „ფუკა“ ანუ „ვერ დავინახე“ არ არსებობს, მოკვლა აუცილებელია.

მოწინააღმდეგის შაშები უნდა ავიღოთ დაფიდან კვლის დამთავრების შემდეგ და არა კვლის პროცესში.


მოწინააღმდეგის შაშის კვლის პროცესში შეიძლება ერთსა და იმავე შაშს მხოლოდ ერთხელ გადაახტე.

დავხედოთ მე-8 დიაგრამას. მარბილი 42-ით შეიძლება აწარმოო კვლა 42:24:8:17:28, ანუ, მოკლედ, 48:28, და უნდა მოხსნა დაფიდან შაშები: 88, 19, 12 და 22. 28-ე უკრაზე მყოფი შაშის მოკვლა არ შეიძლება, ვინაიდან მე-19 უკრაზე მყოფ შაშს მეორედ ვერ გადაახტები. მარბილი იძულებულია



საერთაშორისო შაში რუსული შაშისაგან სამი მნიშვნელოვანი წესით განსხვავდება:

პირველი: თუ უბრალო შაში კვლის პროცესში მიადწევს სამარბილო მოედანს, მას არ შეუძლია გააგრძელოს კვლა მარბილის უფლებით; იგი რჩება სამარბილო მოედანზე, და ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ მოწინააღმდეგის სვლის შემდეგ. მაგალითად, მე-4 დიაგრამაზე



თეთრები იწყებენ და იგებენ დასახელებული წესით: 1. 47-41. შავები კვლით ხვდებიან სამარბილო 47-ე უკრაზე. 1. ...88:47. ამ შემთხვევაში შავების შაში, კვლით მოხვდა რა სამარბილო უკრაზე, ვერ მოკლავს პირველივე სვლით 29-ე უკრაზე მყოფ თეთრების შაშს. ათერთები თამაშობენ 2. 29-24. შავები პასუხობენ 2. ...47:20; 8. 25:8X და თეთრები იგებენ.

მეორე: თუ უბრალო შაში კვლით გადის სამარბილო უკრაზე (ჰორიზონტალის ბოლო რიგი) და მის გვერდით (და არა მოშორებით) იმყოფება მოსაკლავი ერთი, მეორე ან მესამე და ა. შ. შაში, იგი ვალდებულია აიყვანოს ყველა შაში და ამ შემთხვევაში რჩება ჩვეულებრივ შაშად და არა მარბილად. მე-5 დიაგრამაზე თეთრები იწყებენ და იგებენ ამ წესით.

### თამაშის მიზანი


მოთამაშის მიზანია, პარტია თავისი გამარჯვებით დამთავროს. მოგებულია ის, ვინც უწინ აიღებს მოწინააღმდეგის შაშებს ან ჩაეკტავს (დაატყვევებს) მათ ისე, რომ მოწინააღმდეგეს სვლის გაკეთების საშუალება აღარ დარჩეს.

თუ ვერც ერთი მხარე ვერ მიადწევს გამარჯვებას, აღინიშნება ყაიმი.


### ნოტაცია

საერთაშორისო შაშში მიღებულია რიცხობრივი ნოტაცია, სადაც უკრედები აღინიშნება შავებით მოთამაშის მხრიდან, მარჯვ-






თამაშობენ 1. 88-29! შავებს აქვთ შესაძლებლობა, რამდენიმე მიმართულებით აწარმოონ კვლა, მაგალითად: 1. ...24:42; 1. ... 24:85;



1. 26-21! 17:89. შავების შაშმა კვლით გაიარა სამარბიელო უჯრა 48, მოკლა მის გვერდით 48-ე უჯრაზე მყოფი თეთრების შაში და დარჩა ჩვეულებრივ შაშად. 2. 40-84; 89:80; 8. 85:22 და თეთრებმა გაიმარჯვეს.



მისამამ: თამაშის დროს არის მომენტები, როცა ერთდროულად შეიძლება ჰქლავდე ერთ, ორ, სამ ან მეტ შაშს. ამ შემთხვევაში აუცილებელია მოკლა მაქსიმალური რაოდენობის შაში (64-უჯრიან შაშში გადაწყვეტა შენი ნება-სურვილი).  
დავხედოთ მე-6 დიაგრამას. აქ თეთრები

1. ...28:45 და 1. ....28:24. წესის მოთხოვნით, შავებმა უნდა აიყვანონ მეტი რაოდენობის შაში და ახორციელებენ კვლას 1. ...28:84:48:82:27, რის შემდეგ თეთრები აკეთებენ სვლას 2. 26:10 და იგებენ.  
ახლა განვიხილოთ მაგალითი, სადაც სამივე წესი მოქმედებს. მე-7 დიაგრამაზე თეთრები იწყებენ და იგებენ: 1. 89-84! შავები კლავენ 1. ...86:47. აქ დაცულია პირველი

წესი: გავიდა რა კვლით, შაში მარბიელის პორიზონტალში ჩერდება და მხოლოდ მეორე სვლიდან გააგრძელებს კვლას მარბიელის უფლებით. 2. 84-80! შავები კლავენ იმ მხარეს, სადაც მეტი რაოდენობის შაშია მოსაკლავი (მესამე წესი). 2. ...47:50; 8. 80-25; 25:44; 4. 25:28! აქ კი მეორე წესია დაცული: შაში, რომელიც კვლით გადის მარბიელში და მის გვერდით იწყობება მოსაკლავი შაშები, ვალდებულია მოკლას ყველა შაში და რჩება ჩვეულებრივ შაშად (28-ე უჯრაზე).

ვლადიმერ კანდელაკი

**ლოგიკური თავსატეხი**

რესპუბლიკურ ჩემპიონატში 18-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. ცხრილში ისინი კენჭისყრის მიხედვით განაწილდნენ.  
ჩემპიონატი დამთავრდა... სამწუხაროდ, შევსებული ცხრილი დაიკარგა, საჭირო გახდა ცხრილის აღდგენა. მსაჯ-

თა კოლეგიის მოხსენებით ბარათში მოცემული იყო შემდეგი მონაცემები: 1. თითოეული მოჭადრაკის მიერ ყოველი სამი ტურის შემდეგ მოგროვებულ ქულათა რაოდენობა; 2. ვინ რომელი ადგილი დაიკავა (როგორც მოცემულია ცხრი-

ლში); 3. მეორე ტურში მ პარტია ყამით დამთავრდა, მე-თორმეტში კი ყველა შეხვედრა შედეგადანი აღმოჩნდა და დამთავრდა მ:8 შავების სასარგებლოდ.  
ჭადრაკის მოყვარულებს ვიწვევთ, დაგვენმარონ ცხრილის აღდგენაში. პირველი სამი გა-

მარჯვებული, რომლებიც ყველაზე ადრე გამოგვიგზავნიან სწორ პასუხს, დაჯილდოვდებიან საჭადრაკო ლიტერატურით (მსოფლიო ჩემპიონის, მაია ჩიბურდანიძის ავტოგრაფითურთ).

რეპაზ თაპარიანი






რიგითი №	III ტურის შედეგ	VI ტურის შედეგ	IX ტურის შედეგ	XII ტურის შედეგ	XV ტურის შედეგ	ადგილი
1...	1,5	3	5	6,5	8,5	5-6
2...	1,5	2,5	4	7	8	7-10
3...	1,5	3	5	7,5	10,5	1
4...	1,5	2,5	4	6	8	12-13
5...	2	3	4	5	6	15-16
6...	2	4	5	8	9;5	2-4
7...	1,5	2,5	3,5	4,5	7,5	11
8...	1	1,5	4	4,5	5	15-16
9...	1	2	2	3	3	17-18
10...	2,5	5,5	6	7	9,5	2-4
11...	1	2	2	2,5	4	17-18
12...	1,5	3	5,5	7	8	7-10
13...	2	3	4	5,5	7	7-10
14...	1	2,5	4,5	5	6	12-13
15...	1	3	4,5	6,5	7	14
16...	1	3	6	8	10	2-4
17...	2	4,5	6,5	8	9	5-6
18...	1,5	3,5	5,5	6,5	8,5	7-10

ტურები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	ქულა	ადგილი
1	●																			
2		●																		
3			●																	
4				●																
5					●															
6						●														
7							●													
8								●												
9									●											
10										●										
11											●									
12												●								
13													●							
14														●						
15															●					
16																●				
17																	●			
18																		●		





ნი ავტოკალმის ლითონურ დეროს. საქმარისია, დეროს გამოცალო პლასტმასის სახშობი და ფაქიზად წაპტრა საწერი კვანძი.



● სამწახნაგა წმინდა ქლიბს ქდეები სამივე მხრიდან აქვს გაკეთებული. წოგჭერ კი რთული წედაპირის დამუშავებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში შეგიძლია ქლიბის არამუშა წედაპირს მკვირივი ქალაღდის წოლი გადააკრა და მშვიდად განაგრძო ქლიბვა.

● ბინის რემონტის შემდეგ (წოგჭერ ახალ ბინაშიაც) აუცილებელია იატაკის მოციკვლა. თუ ლაქით ან საღებავით დაფარულ იატაკს სველ ჩვარს დააფენ და წედ ცხელ უთოს გადაუსვამ, მოციკვლა გაციღებოთ გაგიაღვიღდება.

● როცა დედა კაპრონის ფარდის გარეცხვას დააპირებს, უჩიე, რომ ან დაკეცოს და ისე გარეცხოს, მერე კი ასევე დაკეცილი გაფინოს გასაშრობად, ან კიდევ ნახევრად სველი ჩამოკიდოს თავის ადგილას. ფარდას გაუთოება აღარ დასჭირდება.

● ფოტოგამაღიღებლის მქრქალი მინა თუ გაგიტყდა, შეგიძლია მის ნაცვლად დროებით მქრქალი პოლიმერული კალკა გამოიყენო, ოღონდ კალკა გახურებისაგან რომ არ დაიბრიცოს, იგი მინის ორ თხელ ფირფიტას შორის მოათავსე.

● გათბობის ბატარეის გაწმენდა გაგიაღვიღდება, თუ მტვერსასრუტის საცმთა ნაკრებს კურჭლის ჭაგრისხაც დაუმატებ და მიღწე ისე დაამაგრებ, როგორც ნახაწყა ნაჩვენებო.

● ტყავისთვის სახვრეტელას მაგვირობის გაწყა თავისუფლად შეუძლია ბურთულია-

# საპირბაული

წაფხული, წაფხული — ფოტომონტაჟი. (გარეკანის მე-2 გვერდი)

ბ. დამაზვილი — მომავალი ცხოვრებისა და შრომის პროგრამა (წერილი) გვ. 2-8

ბ. კომბარნიძე — გალავანი (მოთხრობა) 4

კომკავშირი — 70 (წერილი) 10

მ. ბელაშვილი — გაგიგონიათ? ქარხანას „სიჭაბუკე“ მქვია (ნარკვევი) 12

ნ. ხარაზიშვილი — მისწერეთ მეგობარს, ბავშვებო! (ნარკვევი) 14

აიხი 16

ვიქტორინა-კონკურსი 18

დ. ივარდავა — ხიროსიმა, ხიროსიმა; წერო (ლექსები) 20

ვ. ბერიაშვილი — ისტორია (ფანტასტიკური მოთხრობა) 21

საინტერესო სიხალენი 26

ვ. ოსმაივა — ჩემი ამხანაგი (მოთხრობა) 27

თუ ფოტოსაქმე გაინტერესებთ (წერილი) 29

მ. ქანდალაძი — შაში საინტერესო თამაშია (წერილი) 30

რ. თაბარანი — ლოკიური თავსატეხი 31

გამოგადგები 32

ცხრაკლიტული გარეკ. მე-8 გვ.

ბარკანის 1-ელ გვერდზე — „ჩვენი უზნის თაბარი“ მხატვარი გივი პატრიარქილი.

## მთავარი რედაქტორი ბაბუღია შალია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალაშვილი, ნუგზარ აბხაშვილი (პ/მგ. მღვიანი), ჯურაბ ზოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაშვილი, იოსებ სასონაძე, გიორგი ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგინი, ლიანა შაფიშვილი, ჯურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ. მღვიანის — 98-97-03, 98-58-05, განყოფილებების — 98-97-02, 98-97-01. გადაცემა ასაწყობად 24.06.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.08.88 წ., ქალღდის ფორმატი 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 4,4; შეკვ. 1685. ტირაჟი 154000. ეგზ., უე 08862.

საქართველოს კვ. ცვ.ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор  
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА


Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9. Тираж 154000 экз. Цена 20 коп.





თარაზულად: 7. კანადის მდინარე; 8. კოპით ამოხსმული ხამი ტყავის ფეხსაცმელი; 9. სანახაობითი დაწესებულება;

გრაფიაში გამოუჩენებელი ცელულოზის გამჭვირვალე ფირფიტა; 14. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი; 17.



11. სამხედრო წოდება; 12. ბრძანების, განკარგულების, ნებართვის ან შეწყალების ქალღმერთი; 18. ფოტო-

საქართველოს მდინარე; 19. სახელმწიფოთა ძალადობრივი ჩარევა სხვა ქვეყნის საზიანო საქმეებში; 22. ევროპის სა-

ხელმწიფოს დედაქალაქი; 24. რუსულ-საოლქო ცენტრი; 28. ამბის მომტანი, შიკრიკი; 28. სანადირო თოფის სასროლი ტყვია; 28. ქართველი ხალხოსანი მწერალი; 30. მინერალური წყალი საქართველოში; 31. უზბეკეთის საოლქო ცენტრი; 32. გრამატიკის ნაწილი.  
 შვეულად: 1. კავშირი, ურთიერთობა; 2. საფოსტო გზავნილობა; 3. სიტყვათა წარმოქმნის მანერა; 4. რისამე დახვედრის ან ანაზღაურების განაკვეთების ცხრილი; 5. იაპონიის აგრესიული სამხედრო წრეების წარმომადგენლის სახელი; 6. საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი; 7. დაზიანებული არქიტექტურული ძეგლის, ხელოვნების ნაწარმოების და სხვა ნივთების აღდგენა პირვანდელი სახით; 8. ფაღვანი-შვილის ოპერა; 9. მხარე სსრკ-ში; 10. იტალიის ფეხბურთელი გუნდი; 11. საკვები პროდუქტი; 12. შექსპირის პიესა „რიჩარდ III“-ის პერსონაჟი; 13. ზონდით რისამე განიჩქვება, გაზომვა; 14. შექცევა, აღდგენა; 15. განსახორციელებელი რამე; 16. სევედიანო ლირიკული ლექსი.

შეადგინა პ. მალალაშვილმა



ლოდზე მძიმე...  
 უველა კაცის სტუმარია --  
 ესეც გაითვალისწინე.

ერთი ჭურჭელი ვიყიდე  
 არცთუ ძალიან ძვირი.  
 ნეტავი რაში მარგია? --  
 დახვერტილი აქვს ძირი.  
 ნ. მარინია

უსულთა, მაგრამ დადის,  
 თავს ევლება თავებს,  
 დიღია თუ პატარა,  
 უველას აქობთავეს.

ჩემს უამრავ უნართაგან  
 ორიოდეს ვამბობ:  
 რაკეტებსაც დავაქროლებ  
 და რკინასაც ვაღლობ.

ალ. ნამოლაძე  
 დიქციონარის ოცდათერთმეტში  
 მივემგზავრები სამი წლით.  
 მეოთხე დაიწყება და  
 მოვალ, ადგილზე დამიხვდით.  
 წუთით არ დავიგვიანებ,  
 ავიც რომ იყოს ამინდი.

ბ. მარცვალაშვილი

რისი ნახვაც შეიძლება  
 დახუჭული თვალებით,  
 თვითონ უნდა გაიხსნოს,  
 მე ვერ დაგეხმარები.

მ. შოთაძე

პესუნი № 7-ში  
 მოთქმულ  
 „სხრეკილულს“

პ რ ო ს ე ო რ დ ი

თარაზულად: 1. ეპოქა; 2. კასი; 3. ბანდეროლი; 4. იდეოლოგია; 5. ინტერპრეტაცია; 6. დისკრიმინაცია; 7. კონტრასტი; 8. ამპლიტუდა; 9. ატამი; 10. კრავი.

შვეულად: 1. „ემადინი“; 2. ორბი; 3. სვია; 4. იაპონია; 5. ელდარი; 6. იელი; 7. ბრაკონიერი; 8. ატრაქციონი; 9. თავი; 10. კოკა; 11. ალაო; 12. ამქარი; 13. დივიზია; 14. აგარაკი; 15. კალი; 16. იავა.

შ ა რ ა დ ა

გონებას ცოდნით  
 გიშლიდრებს,  
 თუმცა უნო გახლავს,  
 ის ორი ბგერა მოაკელ,  
 რომლებიც თავში ახლავს.  
 მეორე — მრგვალი რიცხვია,  
 მთელ საუკუნეს იტევს.  
 ახლა კი უნდა შეკრიბო,  
 რომ ბოლო პასუხს მიხვედ.

მ. ამირანაშვილი

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ერთ გამოცანას გაგანდობ,  
 მისი პასუხიც აქ ძევს:  
 ნეტა რა ჯადოქარია,  
 წყალს რომ სინათლედ აქცევს?

იენისის ღამეს ვიხილე  
 სურათი გასაკვირველი:  
 სულ ერთი წამით მოფრინდა  
 თვალისმომჭრელი ფრინველი.

უსხეულო, უსახური,  
 თაფლზე ტკბილი,

თ		5	9	0	3	1	2		თ
კ		2	3	2	5	7	8		კ
ვ		3	7	1	8	2	3	0	1
ს		1	5	0	4	9	1	4	6
ა		6	2	7		2	5	0	
გ		4	7	0		3	5	4	
ე		2	6	9	3	4	2	7	6
ბ		9	0	5	2	9	6	0	1
ი		2	7	6	1	4	8		ი
		1	4	0	5	1	3		

თითოეულმა ბავშვმა, ვიდრე  
 ხანკათან მივიდოდეს, 80 კი-

ლომეტრი უნდა გაიაროს.  
 ნანა იოსელიანი





„პაიჭაუბი“, გოდერძი კობერაშვილი, 12 წლის




ღუშეთი,  
პარტლის  
არასრული  
საშუალო  
სკოლის  
მოსწავლეთა  
შემოქმედება

„ნატარგმობი“, ნინო მამულაშვილი, 11 წლის



„სოფლის მოტივი“, ნინო ჯიქარი, 12 წლის



ფიგურა  
გიგარი,  
12 წლის

ინდექსი 76157  
შანი 20 კან.  
ქართული  
შეზღვევის

„მომცირევი“

„ჩემი ეჭო“, მარადი გიგარი, 10 წლის



„ჩემი სოფელი“, მარინა ჩუხელი, 11 წლის

